№ 2956
ოთხშაბათი,
23 ნოემბერი

ცნობის ფურცელი

№ 2956
ოთხშაბათი,
23 ნოემბერი

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მ. თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით, პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის დ ჲ ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და ა. ნ. განცხადებათა კანტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1905

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372

შეკერილ ტანისამოსის
ახლად გახსნილ მაღაზიაში
„ექსელანს“ გოლოვინის პროს., ტფილისის საკრებულოს ქვეშ, სახლი მანთაშევისა. არის

დიდძალი კაცის, ქალის და ბავშვის ტანისამოსი, ფორმის ტანისამოსი ყველა სასწავლებლის და სამოქალაქო დაწესებულებისა. შეიძლება შეკვეთა კაცისა და ქალის ტანისამოსისა. განუწყვეტლივ მოგვდის ყველაფერი, რაც ახალია ბერლინისა, პარიზისა და მოსკოვის სავაჭრო სახლიდან.

მოიპოვება ყოველ გვარი საქონელი საზღვარ-გარეთის და რუსის ქარხნებისა. მთელი მასალა, დამზადებული საკუთარ ქარხანაზე ადესაში, შემლებას აძლევს „ექსელანს“-ის მაღაზიას მეტად იაფი ფასები დანიშნოს.

საქონლის ყიდვა შეუვაჭრებლად

„ექსელანსის“ მაღაზიას სრული იმედი აქვს, რომ ტფილისის პატივცემული საზოგადოება პირადად მობრძანდება და გაიცნობს ყველაფერს. (50—6.—34)

პირველი აბონემენტი ქართული წარმოდგენა სახაზინო თეატრში № 7.

ხუთშაბათს, 24 ნოემბერს 1905 წ., ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ აბონემენტის რიცხვში წარმოდგენილი იქნება **ვ. ა. აბაშიძის საბენეფისოდ**

ივ. გომართლის ახალი პიესა

ქოხში

სცენები სოფ. ცხოვ. 5 მოქმ. და 6 სურათად

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ტასო აბაშიძე, ნ. გაბუნია-ცაგარლისა, დ. ივანიძე, მ. მდივანი; ა. ნებიერიძე, კავთელი, ნ. საფაროვისა. ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, ვ. გუნია, შ. დადიანი, ს. სვიმონიძე, ზ. საფაროვი, ა. ქივიძე, კ. ყიფიანი, დ. ჩარკვიანი, ვ. ურუშაძე, სტეფანოვი, ციციშვილი, ა. ჯაყელი.

წარმოდგენა დაიწყება 8 საათზედ

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. შეგირდებისათვის ადგილები 40 კაპ.
მზადდება წარმოსადგენად „ახალი ძალა“, „სულით ობოლნი“, „ხალხი“

ამა წლის პირველ დეკემბრიდან გამოვა
ყოველდღიური სოციალდემოკრატიული გაზეთი

„სხივი“

ჩვენი გაზეთი კავკასიის სოციალდემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციების ორგანოა. რევოლიუციონურ პროლეტარიატის თავგანწირულმა ბრძოლამ თვითმპყროპელობის კედელი შეანგრია და მთელ რუსეთს სიტყვის თავისუფლება მიანიჭა. ის ახლა სარგებლობს ამ ახალ იარაღით, რომ მით კიდევ უფრო გაამაგროს თავისი პარტია, სოციალდემოკრატია, და მედგრად გასწიოს წინ თავის მიზნისაკენ.

„სხივი“ წელიწადში ღირს 6 მანეთად, თვეში 50 კ., თითო ცალი 3 კაპ.
რედაქციის დროებითი ადრესი: **„მოგზაური“**-ს რედაქცია, ნიკოლოზის ქ, № 44.

ამ წლის დეკემბრიდან
გამოვა ყოველ დღიური სრულ პროგრამიანი

პატარა გაზეთი

2 კაპ.

პატარა გაზეთი ვინც გმობს ერთობას
პატარა გაზეთი ებრძვის, ვინც სთრგუნავს თავისუფლებას
პატარა გაზეთი ებრძვის, ვინც ლალატობს ძმობას

დაბარება შეიძლება
ერთის წლით 3 მან.
ნახევარის წლით 2 მან.
ცალკე ნომერი 2 კაპ.

რედაქტორი ზ. მირიანაშვილი. გამომცემელი კ. მესხი.

ვინც ამ თავით დაიბარებს, დეკემბრის ნომრები **მუქთად** დაურიგდებათ.

ადრესი: Тифлисъ, Дворцовая, Домъ Дворянства, Редакція „Патара Газети“.

ქართულ თეატრის ფოიეში

სინემატოგრაფის ახალის აპპარატების შემწეობით აჩვენებენ ელექტრონის საკვირველებათა მშვენიერს მოძრავ სურათებს.

კვირაობით უკრავს სამხედრო მუსიკა.

შესვლის ფასი: 1, 2, 3, 4 და 5 რიგები 20 კ. 6, 7 და 8 რიგები 35 კაპ., 9 და 10 რიგები ათი შაური. (1—458—1)

განცხადება

კვირას, 27 ნოემბერს, დილის 10 საათზე, „ტფ. სობრანიე“-ს საზაფხულო სადგომში (მიხ. ქუჩა, მიხ. საავადმყოფოს გვერდით) დანიშნულია **მიტინგი** ტფილისის იმ სახლისპატრონებისა, რომელთა მამულები დაგირავებულია ბანკებში. (2—1)

სამკურნალო
ექიმთა საზოგადოებისა
ტფილისში

მუდმივის საწოლებით, ელისავეტინსკის ქუჩა, 101, ტელ. 1026.

მიიღებიან გარედან მოსიარულე ავადმყოფნი
მ. გ. ალაჯანოვი. 11—12 ს. შარდისა, ვენერიულ, სიფილისის და ნაწლევების ავადმყოფობანი.
ი. ნ. ეგიაზაროვი. 11—12 ს. ნერვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი; ელექტრონით წამლობა.
პ. ნ. დემიდოვი. 11—12 ს. ქალის ავადმყოფობანი და ბებიაობა.
გ. ა. ტატევოსოვი. 12—1 ს. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობანი.
ი. ე. აპეტისოვი. 12—1 ს. ქალის ავადმყოფობანი და ბებიაობა.
ძ. პ. კიმონტი. 1—2 ს. სადოსტაქრო ავადმყოფობანი.
მ. რ. ელჩიევი. 1—2 ს. ცხვირისა, ყელისა და ყურის ავადმყოფობანი.
პ. ა. ბეიერი. 1—2 ს. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

სამკურნალოსთან შეიძლება ჰიპნოტიზმით მკურნალობა, მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ. ოპერაციები და კონსულტაციები მორიგებით. სანატორიუმის განყოფილება შეიცავს საზოგადო პალატას და ცალკე ოთახებს. (150—31)

ექიმი
ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალებით ავადმყოფებს: დილით ყოველ დღე 9—11½ ს. სადამ. უქმეებს გარდა 6—7 ს.
კუთხე კიროჩნის და დიდი-მთავრის ქუჩისა № 12, სახლი სვანიშვილისა.

მედიცინის დოქტორი
მ. ი. მურადოვი

ყოფილი ორდინატორი მოსკოვის უნივერსიტეტისა, იღებს სპეციალურად საშარდეს, სიფილისის და კანის სნეულებიან ავადმყოფებს, ყოველ დღე 10 დან—11-მდე და 5-დან 7 საათამდე, რტიშჩევსკის ქ., ს. № 1. ცეცხლის საქრობ რაზმის პირდაპირ. ტელეფონი 711. (50—368—30)

მედიცინის დოქტორმა
გ. ი. ზურაბენოვამ,

შტატის ორდინატორად ნამყოფმა ხარკოვის საბებიო და საგინეკოლოგო კლინიკაში, განაახლა საბებიო და ქალის სნეულობით ავადმყოფთა მიღება. დილით 10—12 საათზე, საღამოთი 5—6 საათზე. გოლოვინის პროსპ., სახ. მდივნისა, № 12, საარტისტო საზოგადოების შენობის პირდაპირ. (თვ.—406—26)

ექიმი
პ. ა. არდაზიანი

იღებს შინაგან და ბავშვების ავადმყოფებს დილის 7—8 ს. და 4—7 ს. საღ. აქვე სწარმოებს ქიმიკო-მიკროსკოპიული გამოკვლევა.
ადრესი: ელისაბედის ქ. № 160. (16—024—13)

ექიმი
გ. ი. ტერ-გრიგორიანცი

იღებს შინაგან (სპეციალურად ფილტვის) ავადმყოფებს და ბავშვებს. გასინჯვა და მკურნალობა რენტგენის სხივებით. ავადმყოფები მიიღებიან დილით 10—12 ს. საღამოთი 5—7 ს.-მდე. მიხეილის პროსპ. № 154. (თვ.—371—32)

ელექტრო-თერაპიული კაბინეტი
მიხეილ გედევანიშვილისა

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთ. 6—7 ს.-მდე ყორღანოვის ქუჩაზე (ვერაზე) საკუთარი სახლი № 20. ტელეფონი 791.
ავადმყოფთათვის არის ერთი კრაოტი.

ექიმი
ა. ნ. დიასამიძე

მიიღებს ავადმყოფებს: სიფილისის, კანის და ვენერიულის ყოველ დღე დილის 8—11-მდე და საღამოს 6—8-მდე, გარდა კვირა საღამოსი. ლორის-მელიქოვის და ბარონის ქუჩების კუთხე, მესხიშვილის სახლი, ფოსტის პირდაპირ № 18. (წლ).

კბილის ექიმი
ი. ზ. კანდელაკი

გადავიდა ახალ ბინაზედ მიხეილის პროსპექტი, № 44, სახლი აბულაძისა.
იღებს კბილის სნეულებით ავადმყოფებს, უკეთებს პლომბებს, სხამს ახალ ხელოვნურ კბილებს ყოველ გვარ მეთოდზე, დილის 9—2 და საღამოს 4—6 საათამდე. (თვ.—80—34)

ექიმი
მ. პ. გეზირგანოვი

სიმონოვის ქუჩა № 7. მიიღებს ავადმყოფებს საღამოს 5—7½ საათ. (თვ.—15)

კბილის ექიმი
ივანე პ. ახალშენიშვილი

ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქუჩის დასაწყისში, ავადმყოფებს ხედავს: დილის 9—2-მდის და საღამოს 5—7-მდის. კვირა-უქმეობით 10—1-მდის.

ტფილისი, 23 ნოემბერი.

სოციალ-დემოკრატია და ფედერაცია.

რამდენისამე წლის წინად მოხდა სრულიად რუსეთის მუშათა სოციალდემოკრატიული პარტიის კრება, რომელმაც სხვათა შორის განიხილა ეროვნული საკითხი და შეიმუშავა პარტიული შეხედულება ეროვნულ თავისუფლების განსახორციელებლად საჭირო ზომების შესახებ. იმ კრებაზე სოციალ-დემოკრატებმა ამ ნაზის, მაგრამ მწვავე საკითხის განხილვის დროს გადამეტებული გულცივობა გამოიჩინეს დამონავებულ ერთა ინტერესებისადმი და თითქმის თვითმპყრობელ მთავრობის გამარუსებელ პოლიტიკას დაუკრეს კვერი. ჩვენ ვამბობთ, „თითქმისო“, რადგან პრინციპიალურად სოციალდემოკრატიამ აღიარეს ერების თანასწორობა, შეიტანეს პროგრამაში განსაკუთრებითი მუხლი ეგრედ წოდებულ ეროვნულ თვითგამორკვევის უფლების შესახებ, მაგრამ პრაქტიკულად პოლიტიკურ ფრაზეოლოგიას ვერ გასცდნენ და განაპირა ქვეყნებისთვის ადგილობრივ საოლქო თვითმმართველობაზე შორს ვერ წავიდნენ. უარყოფა ან, უკეთ რომ ვთქვათ, გულგრილობა ეროვნულ ინტერესებისადმი სოციალდემოკრატების მეორე კრებაზე იმდენად თვალსაჩინო იყო, რომ ფილიანდიისთვისაც კი მარტო საოლქო თვითმმართველობა გაიმეტეს და, როდესაც საერთოდ საოლქო თვითმმართველობის მოთხოვნის პროგრამაში შეტანას უყარეს კენჭი, 24 ხმამ მხარი მისცა ამ მოთხოვნას და 23-მა უარჰყო იგი, ასე რომ მხოლოდ ერთის ხმის უმეტესობის წყალობით იქმნა შეტანილი პროგრამაში ეს საოლქო თვითმმართველობა. ავტონომიასა და ფედერაციაზე ხომ კრინტის დაძვრაც არავის საჭიროდ არ მიაჩნდა.

ქართველი სოციალდემოკრატები დაემორჩილნენ კრების გადაწყვეტილებას, დაიწყეს ჩვენს საზოგადოებაში ცენტრალისტურ მმართველობის მომხრეობა და ამ აზრის გავრცელება როგორც მწერლობის, აგრეთვე სიტყვიერ პროპაგანდის საშუალებით. ცხადია, რუს სოციალდემოკრატებს, რომელნიც შიდა რუსეთის ქალაქებში თუ სოფლებში მუშაობდნენ, ეროვნულ ინტერესებთან, ეროვნულ თვითმმართველისკენ მისწრაფებასთან შეტაკება არ მოსდიოდათ; იმათთვის ეროვნული საკითხი მარტოოდენ თეორიული საკითხი იყო და ამიტომ დიდს ხანს არც საჭიროდ სცნობდნენ მეორე კრების დადგენილება გადაეშინჯათ. სულ სხვა მდგომარეობაში იმყოფებოდნენ ის სოციალდემოკრატები, რომელნიც პრაქტიკულად დამონავებულ ერთა შორის ჰმოქმედებდნენ: ისინი ან ეროვნულ თვითმმართველობის პრინციპიალურ მტრებად გადიქცნენ, როგორც ჩვენში, და ან რუსეთის სოციალდემოკრატიულ მუშათა პარტიის ორგანიზაციიდამ სრულიად გამოვიდნენ, როგორც მაგალითად ებრაელთა სოციალდემოკრატიული პარტია „ბუნდი“ და მედგრად იბრძოდნენ ეროვნულ თვითმმართველობის მოსაპოებლად.

თეორიული და კაბინეთური გადაწყვეტა პრაქტიკულ საკითხებისა ხშირად სრულიად არ უდგება ნამდვილ ცხოვრებას და ამიტომ მალე ჰკარგავს თავის მნიშვნელობას, მალე იცვლება თანახმად რეალურ ინტერესების საჭიროებისა. სწორედ ასეთი ბედი ეწია სოციალდემოკრატების მეორე კრების დადგენილებებს ეროვნულ საკითხის შესახებ. ამოვარდა თუ არა რუსეთის იმპერიაში რევოლიონური ქარიშხალი, წამოაყენა თუ არა ისტორიამ პრაქტიკულ ნიადაგზე ეროვნული საკითხი, უმალ გამოირკვა, რომ ერთად ერთი საშუალება, ერთად-ერთი გზა იმის სამართლიან და წესიერ გადასაწყვეტად სწორედ ის არის, რომელიც ერთხელ და ორჯელ არ გვიჩვენებია ჩვენ გაზეთში, ესე იგი ავტონომია და ფედერაცია.

ქართველი სოციალდემოკრატები, რომლებიც თავიდანვე პრინციპიალურად წინააღუდგნენ ავტონომიას და ფედერაციას ერთის მხრივ და მოვალედ სთვლიდნენ თავის თავს „წმინდად“ დაეცვათ სოციალდემოკრატი პარტიულ კრებაზე შემუშავებული პროგრამა მეორის მხრივ, საჭიროდ ვერა სცნობდნენ ან უხერხულად მიაჩნდათ თავისუფალ კრიტიკის ქარცეცხლში გაეტარებინათ თავისი პარტიული პროგრამმა და ამიტომ ისინი დღემდე განაგრძობენ „ბრძოლას“ ავტონომისტების და ფედერალისტების წინააღმდეგ. გაცილებით მეტს სიფხიზლეს და აზრის თავისუფლებას იჩენენ რუსეთის სოციალდემოკრატები, რომელთაც უკვე შეუცვლიათ ამ საგნის შესახებ თავისი წინანდელი აზრი და ეხლა პარტიულს ორგანოში, გაზეთს „ნაჩალოს“ პირველს ნომერში სწერენ:

„პოლიტიკური აურ-ზაური რუსეთის რევოლიუციისა უფრო უარესად მწვავდება იმ ერთა ბრძოლის გამო, რომელნიც თვითმპყრობელობამ განსაკუთრებითის კანონებით და ნაციონალისტურ პოლიტიკით ერთი მეორის მტრებად გადააქცია. ეროვნული საკითხი პრაქტიკულად გადაწყვეტილია შვეიცარიის და ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატების დემოკრატიულ რესპუბლიკაში. ასეთივე ერების თავისუფალი კავშირი უნდა განვახორციელოთ რუსეთშიაც. ჩვენი მიზანია—გავხსნათ გზები თითოეულ ერის დამოუკიდებელ პოლიტიკურ და კულტურულ განვითარებისთვის, მაგრამ ჩვენი მიზანია აგრეთვე—თითოეულ ერში განვაცალკევოთ პროლეტარიატი სხვა კლასსებისაგან და რუსეთის ყველა ერების პროლეტარიატი შევაკავშიროთ საერთო სოციალრევოლიუციონურ ლაშქრად. ამგვარად შეიქნება მეტად მჭიდრო რუსეთის საერთო კავშირი, მაგრამ შეიქმნება იგი არა წინააღმდეგ თითოეულ ერის სურვილისა, არამედ იმ შინაგან კლასსიურ წინააღმდეგობის გამო, რომელიც აუცილებლად ანაწილებს ერს მოპირისპირე ნაწილებად—კაპიტალისტურ წეს-წყობილების დროს. ჩვენ შევაკავშირებთ ერებს არა სახელმწიფო ბრძანებლობით, არამედ ბრძოლით კაპიტალისტურ სახელმწიფოს წინააღმდეგ“.

ეს სიტყვები სოციალდემოკრატიულ მეუმცირესეთა ორგანოს მეთაური წერილიდან არის ამოღებული და ამ წერილს ხელს აწერს რედაქცია, რომელსაც სხვათა შორის შეადგენენ აქსელროდი, პლეხანოვი, მარტოვი, მასლოვი და სხვები. ცხადია, რუსეთის სოციალდემოკრატიის მეთაურები ძირიან ფესვიანად სცვლიან თავის აზრს ეროვნულ საკითხის შესახებ და ნაცვლად წინანდელის ცენტრალიზმის პრინციპისა მზად არიან პროგრამაში ფედერალიზმის პრინციპი შეიტანონ.

ჩვენ, ქართველ სოციალფედერალისტებს, მით უფრო მიგვაჩნია საჭიროდ აღვნიშნოთ ეს გარემოება, რომ ჩვენი მეცადინეობა ფედერალისტების პარტიის დაარსებიდან დღევანდლამდე სწორედ იმ პრინციპებს იცავდა, რომელსაც ეხლა სოციალდემოკრატებიც სამართლიანად სცნობენ: მშრომელ ხალხის გაერთიანებას კაპიტალიზმის წინააღმდეგ ბრძოლით და არა ცენტრალისტურ სახელმწიფოებრივ მანქანით.

ახლო მომავალში რუსეთის სოციალდემოკრატები იწვევენ პარტიის მეოთხე კრებას. ჩვენი გულწრფელი სურვილია, რომ ფედერალიზმის პრინციპი საყოველთაოდ იქმნას აღიარებული ამ კრებაზე, რათა გაიკაფოს გზა ჩვენს ხალხში მოქმედ პარტიების დასაახლოვებლად.

მიტინგები

ტფილისის გარნიზონის სალდათებისა

რევოლიუციონური მოძრაობა თან და თან ძლიერდება და იქ იკიდებს ფეხს, სადაც ნაკლებ მოსალოდნელი იყო. რევოლიუციონური ცეცხლი ისე გაღვივდა და გაძლიერდა, რომ იმის ნაპერწკლები თვით მივარდნილსა და მიყრუებულს ადგილებსაც-კი სწვდება. ხმას იღებს ყველა დაჩაგრული და დამონავებული, ყველა სცდილობს თავისი წვლილი შეიტანოს განმათავისუფლებელ მოძრაობაში, რომ ძირიან ფესვიანად აღმოფხვრას დღევანდელი დაწყევლილი წეს-წყობილება.

ცეცხლის ერთი ნაპერწკალი, სხვათა შორის, ტფილისის გარნიზონის ჯარსაც მოჰხვდა. ჯარი თვალს ახელს და იღვიძებს. ჯერ იგი რყევასა და იმის ძებნაში იყო, თუ რა გზას დაადგეს, რა საშუალება გამონახოს თავის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, უკეთეს ცხოვრების შესაქმნელად. სალდათთა პატარა წრეს უკვე უპოვნია ეს გზა, გზა **ერთობისა** და დანარჩენს ამხანაგებს იწვევს ამ ერთობისაკენ, რადგან ერთობა ძალაა და ძალა-კი ყველაფერს შეიქმს.

21 და 22 ნოემბერი საისტორიო დღეებია ტფილისის ცხოვრებაში. ამ დღეებში მიტინგები გამართა ამ პატარა წრემ, ამ პატარა „ერთობის“ კავშირმა და მიიწვია ამხანაგები შესაერთებლად. პირველი მიტინგი სალდათებისა გაიმართა კვირას, **21** ნოემბერს, ნაშუადღევის 1 საათზე, მახათის გორის ძირში, მსროლელთა ბატალიონის ყაზარმებს მახლობლად. კავკასიის ნამესტნიკის ცირკულიარის მიუხედავად, პირველს მიტინგს სალდათობა კარგა ბლომად დაესწრო. შეიკრიბა 1500 კაცამდე და შეუდგა თავის გაჭირვების გამორკვევას. ცოტა გარეშე ხალხიც მოსულიყო საყურებლად, მაგრამ ჯარის კაცებმა მოიშორეს და უთხრეს: არ გვინდა შეგვწამონ, რომ ჩვენ ვისმეს გავლენის ქვეშ ვიმყოფებით, თქვენ შეგიძლიანთ დაესწროთ მიტინგს, მაგრამ კამათსა და თათბირში ნუ ჩაერევითო.

ავიდა მაღლობზე პირველი ორატორი — სალდათი. იგი შეეხო სალდათების მდგომარეობას. ორატორმა სთქვა: ამხანაგებო! ჯერ კიდევ ბევრს ჩვენგანს ვერ გაუგია, რა შევიწროებულს მდგომარეობაში ვიმყოფებით. ავიღოთ თუნდა სოფლად ჩვენი გლეხების მდგომარეობა. თუმცა დღე და ღამ მოსვენება არა გვაქვს, სისხლის ოფლსა ვღვრით, მაინც მშივრები და სხვის ხელში შემაცქერალნი ვართ ჩვენ, სოფლელები. ამავე დროს-კი ჩვენის ნაოფლარით სხვები სუქდებიან და მდიდრდებიან. ამ გაჭირვებულს ცხოვრებას გვაშორებენ 4 წლით, ყაზარმებში გვყრიან, გვაწუხებენ და გვამცირებენ; ჩვენთვის არ არის არც ხეირიანი საჭმელი, არც ბინა და არც სხვა რამე. უფროსებისაგან მუდამ უდიერად მოჰპყრობას, ლანძღვა თრევას ვითმენთ. ჩვენ ბრმა იარაღი ვართ სხვის ხელში. ნუ თუ ჩვენ ადამიანები არა ვართ, ნუ თუ არ უნდა გვქონდეს ნება თავისუფლად ჩვენს მდგომარეობაზე მოლაპარაკებისა? ფიცი მიგვაღებინეს, მეფესა და სამშობლოს ერთგულად ემსახურეთო. მერე ვის ვემსახურებით—სამშობლოს თუ აფიცერ-გენერლობას? მოვიგონოთ ქალაქის მუშა ხალხი. განა ისინი ჩვენი ძმები არ არიან, განა ისინი ჩვენის სამშობლოს შვილები არ არიან? სამშობლოს სამსახური—ეს ხომ ხალხის სამსახურია, მისი მტრისა-

გან დაცვა. მერე ჩვენ რას ჩავდივართ? 9 იანვარს პეტერბურგში რამდენიმე ათასი მუშა შეიკრიბა და მეფესთან სათხოვნელად მივიდა თავის გაჭირვებულ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. პური ითხოვეს და ნაცვლად ტყვია უთავაზეს. განა ვინ ესროლა ჩვენს ძმებს ტყვია, ვინ ამოხოცა? ჩვენ, ჩვენ ვიყავით, რომ ძმების სისხლი დავღვარეთ. განა ფიცი იმიტომ მივიღეთ, რომ ჩვენს ძმებს, დებს და მამებს დავრეოდით და გვეხოცა? მოიგონეთ, ამხანაგებო, 29 აგვისტო: როგორი საშინელი ბარბაროსობა ჩაადენინა კავკასიის მთავრობამ ჯარს და რა შეუბრალებლის სიმხეცით მიატანინა იერიში უიარაღო ხალხზე. 22 ოქტომბერი ხომ წაუშლელი დანაშაულობაა ჩვენის სახელისათვის. ენა ვერ იტყვის, კაცი ვერ აღწერს იმ საშინელებას, რომელიც ამ დღეს ჯარს ხულიგანების გამო მთავრობამ ჩაადენინა. პატარა გიმნაზიელების ამოხოცვა, ბავშებისა და ქალების ჟლეტა, უიარაღო და უდანაშაულო გამვლელ და გამომვლელთა განწირვა და ფეხქვეშ თელვა. მერე ყველა ეს სამშობლოს სამსახურია?! ჩვენც ხომ ისეთივე საწყალი ხალხი ვართ, ჩვენც ხომ იმათი შვილები ვართ? მუშები ჩვენთვის ღვრიან სისხლს, ჩვენის თავისუფლებისათვის იბრძვიან და ჩვენ-კი, დახმარების ნაცვლად, იმათ წინააღმდეგ იარაღს ვხმარობთ და ვაწიოკებთ. ყოველსავე ამას ჩვენის კეთილის მყოფთა წყალობით ჩავდივართ. არა, ძმებო, გვეყო მონობა და მთავრობის თვითნებობის იარაღად გადაქცევა. შევერთდეთ, გამოვფხიზლდეთ და მოვითხოვოთ ჯერ ნებით და მერე ძალითაც, რომ ჩვენ პირუტყვებსავით ნუ გვექცევიან. ეხლა ჩვენ თვითონ უნდა ვუპატრონოთ ჩვენს თავს. ხედავთ ჩვენს ძვირფას ამხანაგებს კრონშტადტში! ხედავთ შავის ზღვის ფლოტის მატროსებს, გმირს შმიდტს, რომელიც წინ მიუძღვის ფლოტს სიმართლისა და ადამიანობის მოსაპოებლად. შევერთდეთ, ძმებო, და მათთან ერთად ვიმოქმედოთ. 17 ოქტომბრის მანიფესტმა თავისუფლება მოგვანიჭა. მერე სად არის თავისუფლება? სად არის ხელშეუხებლობა, როდესაც ამოდენა ხალხი ამოჟლიტეს ტფილისსა, ოდესასა, მოსკოვსა და სხვა ქალაქებში. სად არის თავისუფლება, როდესაც ჩვენ ასე ოთხ კედელ შუა სულსა გვხდიან და ჩვენს გაჭირვებულ მდგომარეობაზე არ გველაპარაკებიან. ძირს მთავრობა! ძირს ის მთავრობა, რომელიც ჩვენ ბრმა იარაღად გვხდის, ჩვენის უვიცობით სარგებლობს და მიწასთან გვასწორებსო.

ორატორი „ურას“ ძახილით და ტაშის ცემით დააჯილდოვეს.

შემდეგ ილაპარაკა საპიორნი ჯარის კაცმა. ამ ორატორმა სთქვა: მთავრობა მუდამ გვაბრმავებს და გვატყუებს: ჩაგვჩიჩინებს—ქართველებს, სომხებს და სხვა ხალხს თავიანთი მეფეები უნდათ და ამიტომ შფოთავენო. უნდა ისინი ამოვხოცოთ, რომ ასეთს სისულელეს თავი დაანებონო. არა, ამით ვეღარ მოგვატყუებენ: მეფე რუსი იქნება, ქართველი თუ პოლონელი, სულ ერთია, ყველა ჩვენი სულის შემხუთველი, ჩვენი სისხლის მსმელი იქნება. ქართველი მეფე ისევე შეგვაწუხებს, როგორც გვაწუხებს სხვა მეფე. ჩვენ ეხლა კარგად ვიცით, ქართველს, სომეხს, პოლონელს და რუსს რა უნდა. ყველა ამათ უნდათ განადგურდეს ძველი წეს-წყობილება და ახალი დაამყარონ, რომ ყველანი თავისუფალნი და თანასწორნი ვიყვნეთ. ამიტომ ხელი უნდა შევუწყოთ მათ. გარდა ამისა მთავრობამ მოგვიჩინა ერთი მღვდელი—კრემლიანსკი. ჩვენ გვეგონა, ეს მღვდელი ქრისტეს მცნების აღმასრულებელი იქმნებოდა, გაგვიმარტავდა მის დიდებულს სიტყვებს სიმართლისა, ჭეშმარიტებისა, სიყვარულისა და ძმობის შესახებ. მაგრამ მოვსტყუვდით. იგი ჩვენ, რუსებს, მუდამ ჩაგვჩიჩინებს, ეს „ბუნტები“ სულ ებრაელებისა, ქართველებისა, სომხებისა და სხვათა საქმეა, ჩვენ მათ უნდა დავერიოთ, ყელები დავსჭრათ, რომ ასეთი თავხედობა აღარ გაბედონო. არა, ძმებო, ნუ დავუჯერებთ! ყოველივე ეს ტყუილია და ცილის წამებაა. მათ ჩვენი დაბრმავება უნდათ, მაგრამ ვეღარ მიაღწევენ საწადელს. ჩვენი დაბრმავება დაწყევლილ თვითმპყრობელობისა და მოხელეების ბრალია. ამიტომ, ამხანაგებო, შევფიცოთ ერთმანერთს, რომ დღეიდან აღარ ვიყოთ ის უსულო მანქანა, რადაც მთავრობამ გადაგვაქციაო.

ორატორ სალდათის წინადადებაზე ჯარმა ქუდები მოიხადა და შეჰფიცა. „ვფიცავთ, ვფიცავთ! სიკვდილი ჯალათებს და წყევლა-კრულვა ხალხის სისხლის მწოველთ“.

ასევე ვრცლად ილაპარაკეს შემდეგმა ორატორებმაც. ერთმა სიტყვა წარმოსთქვა იმაზე, თუ ვინ არის შინაური მტრები. ჩვენი უფროსები გვეუბნებიან,—სთქვა ამ ორატორმა,—რომ შინაური მტრები. ის „ბუნტოვშიკები“ არიან, ვინც ქალაქში არეულობას ახდენენო. არა, ჩვენი შინაური მტრები ესენი კი არა, ჩვენი აფიცრობა და უფროსები არიან, რომელნიც სისხლს გვიშრობენო. გაუმარჯოს სალდათის ერთობასა!

ამ დროს მოვიდა მსროლელთა ორი ბატალიონის აფიცერი, რომელსაც თან 12 შეიარაღებული სალდათი ახლდა. აფიცერმა მოითხოვა მიტინგი დაშლილიყო და თან ესეც უთხრა, თქვენ ფიცი მიგიღიათ მაგაებს არ უნდა შერევოდეთო. სალდათებმა უპასუხეს, ჩვენ ფიცს არა ვტეხავთ. ჩვენ შევიკრიბენით ჩვენს გაჭირვებაზედ მოსალაპარაკებლადაო. „მერე გარეშე ხალხი რადა სდგას აქა“-ო, სთქვა აფიცერმა. თქვენ ფიცის გამტეხელნი ხართ, როცა ასეთ კრებებს მართავთ და თქვენი გვარი უნდა ჩავიწეროვო.

აფიცერმა ამოიღო ქაღალდი და როცა წერას შეუდგა, სალდათები მიცვივდნენ, გამოჰგლიჯეს ხელიდგან ქაღალდი, დახიეს, აფიცერს თვალებში მიაყარეს და გაისტუმრეს. შემდეგ, ორატორის წინადადებით, მიტინგი შეუდგა მუხლ-მუხლ მოთხოვნილებათა გარჩევას და რადგან ვეღარ მოასწრო, მეორე დღისათვის გადასდო.

მეორე დღეს, 22 ნოემბერს, იმავე ადგილას დიდ-ძალი სალდათობა შეიკრიბა. იყვნენ ყველა პოლკიდან, მსროლელთა ბატალიონსა და ბატარეიდან. სულ 4000-ზე მეტი სალდათი დაესწრო. ამ დღეს მიტინგი სრულის წეს-რიგით შეუდგა მოთხოვნილებათა შემუშავებას. თითოეულ მუხლზე კარგა ხან ჩერდებოდნენ ორატორები და თავიანთ ცხოვრებიდან ბევრს საყურადღებოს და საგულისხმოს ამბობდნენ. როდესაც მიტინგმა შეიმუშავა მოთხოვნილებანი და დაადგინა, წარუდგინოს იგი კავკასიის ოლქის უფროსს, ნამესტნიკს გრაფს ვორონცოვ-დაშკოვს.

მოვიყვანთ აქვე მთელის გარნიზონის სალდათების მოთხოვნილებათ:

1. შემოკლებულ იქნეს სამსახურის ვადა ორ წლამდე და სათადარიგოდ ვითვლებოდეთ მხოლოდ 32 წლამდე; 2. სათადარიგო ჯარის-კაცნი თავის დროზედ განთავისუფლდნენ ხოლმე; 3. სიკვდილამდე ეძლიოს საკმაო პენსია იმ სალდათს, რომელიც სამსახურის დროს დაშავდება ან დასნეულდება; 4. ერთდროულად დახმარება აღმოეჩინოს ცოლშვილს ან, თუ სალდათი უცოლშვილოა, დედმამას ის სალდათისას. რომელიც სამსახურის დროს გარდაიცვლება; 5. სამსახურის გათავების შემდეგ თითოეულ სალდათს მიეცეს შინ წასასვლელად 25 მან.; 6. სალდათს ჯამაგირად მიეცეს ყოველ თვე ხუთ-ხუთი მანეთი; 7. საბატალიონო სამართალში სალდათებსაც მიეცეთ ნება მონაწილეობის მიღებისა გადამწყვეტის ხმით. უაღრესი უფლება ამ სასამართლოსი უნდა უდრიდეს როტის უფროსის უფლებებს. 8. აფიცრები ზრდილობიანად უნდა ეპყრობოდნენ სალდათებს და პირად შეურაცხყოფისათვის სალდათს ნება უნდა ჰქონდეს სამართალში მისცეს აფიცერი; 9. სალდათები განთავისუფლებულ უნდა იქმნენ საპოლიციო სასამართლოსაგან; 10, სამსახურიდან თავისუფალ დროს ნება მიეცეს სალდათს ქალაქში წასვლისა ცალ-ცალკე და არა ჯგუფად უფროსის მეთაურობით; 11. სამსახურის გათავებამდე ჯარის-კაცს ორჯელ უნდა ეძლეოდეს თავისუფლება სახლში წასასვლელად. წასვლა-მოსვლის ხარჯი სახელმწიფო უნდა იყოს და ამ თავისუფლების დროს სალდათს უნდა ეძლეოდეს არსებული ჯამაგირი; 12. სალდათებს უნდა ეძლეოდეთ ტანთსაცმელად წელიწადში 2 შარვალი და ერთი მუნდირი და ორს წელიწადში—ერთი შინელი და ორი ქუდი; ტანისამოსი სალდათების ტანზე უნდა იყოს შეკერილი და სამსახურის გათავების შემდეგ მათ საკუთრებად დარჩეს. 13. სახელმწიფო წაღებს მაგივრად სალდათს უნდა მიეცეს 10 მან. და 80 კაპ. სახელმწიფო წაღები სრულიად უვარგისია: 14. საერთო საწოლების ნაცვლად თითოეულს სალდათს უნდა მიეცეს საკუთარი ტახტი; ლეიბი ახალის ბილობით უნდა იყოს გატენილი და არა ძველით; თითოეულ სალდათს უნდა მიეცეს ორი სახელმწიფო საბანი, ორი ზეწარი და ორი ბალიშის პირი; თეთრეულისა და საცვლების რეცხვა სახელმწიფო ხარჯზე უნდა იყოს; 15. აბანოში წასასვლელად თითოეულ სალდათს ორს კვირაში ერთხელ უნდა მიეცეს ორი შაური; 16. თითოეულ სალდათს უნდა მიეცეს თვეში სამი გირვანქა შაქარი და გირვანქის ერთი მეოთხედი ჩაი; 17. თითოეულ როტას საჭმელი ცალკე მოუხარშონ, გაუმჯობესდეს თვისება საჭმლისა და მომზადდეს იგი სალდათთა მიერ მოწვეულ მზარეულებისაგან; 18. დაარსდეს ბიბლიოთეკა-სამკითხველო და საკითხავ ჟურნალ-გაზეთების ამორჩევა თვითონ სალდათებს მიენდოს; 19. სალდათებს ნება უნდა მიეცეთ იარონ საზოგადო განათლების კურსებზე, ლექციებსა და სხვა განმავითარებელ კურსებზე; 20. მეტი ყურადღება მიექცეს ავადმყოფ სალდათებს და სმა ჭამაც ავადმყოფობის შესაფერი ეძლეოდეთ: 21. პური აუცილებლად უნდა ცხვებოდეს დიკის ფქვილისაგან და ფქვილის საინტენდანტოდან მოტანის დროს ინიშნებოდეს კომისია სალდათებისა; 21. დაინიშნოს სალდათთა კომისიები პოლკის დუქნებისა და ხარჯის შესაფასებლად და შესამოწმებლად; 23. სამსახურში მყოფ ჯარის კაცების ოჯახებს უნდა მიეცეთ ბინის ფული და სასმელ-საჭმელი; 24. აფიცრებს მოესპოთ „დენშჩიკები“; 25. ძველმა სალდათებმა უნდა იმეცადინონ 4 საათამდე, ახლებმა-კი ექვს საათამდე; ბანაკებში ყველას 6 საათი უნდა იმეცადინონ; 26. სალდათებს ნება მიეცეთ თავის ხარჯით შეძენილი მუნდირები ატარონ; 27. სათადარიგოდ დათხოვნილ ჯარის-კაცებს ნება მიეცეთ მიეწერონ იმ სამხედრო უფროსის კანცელარიას, რომელსაც თითონ ამოარჩევენ, ამასთან წასვლა-მოსვლის ხარჯი სახელმწიფო უნდა იყოს; 28. ზედმეტი სამსახური სალდათებისა უნდა განსაზღვრულ იქნას როტისა და რაზმების სურვილისამებრ; 29. აეკრძალოთ მღვდლებს ქადაგების დროს ეროვნებათა შორის შუღლის თესვა; 30. მოემატოს მემუსიკე სალდათების ჯამაგირს; 31. თავის გაკრეჭა სურვილისამებრ; 32. გაუქმდეს „ჩესტს“ მიცემა. „ჩესტი“ მხოლოდ დროშებს და სამეფო გვარეულობის წევრთ მიეცეს ხოლმე; 33. გაუქმებულ იქნას „სასტიკი და გაძლიერებული დატუსაღება; 34. დარაჯობის შემდეგ დასვენება არა ნაკლებ დღე და ღამისა; 35. კერძო ხასიათის მოვალეობათა გაუქმება; 36. გაუმჯობესდეს ბინები სალდათებისა.

ამ მოთხოვნილებების შემუშავების შემდეგ ორატორებმა კიდევ უფრო ცხარე სიტყვები წარმოსთქვეს. ზოგმა თქვა, წინდაწინვე ვიცით, რომ ჩვენი მოთხოვნილებანი არ იქნება შესრულებული, მაგრამ თუ ერთმანეთს არ ვუღალატებთ, ყველაფერს მივაღწევთო. ზოგი ძალმომრეობას შეეხო. ერთმა სთქვა: რა დააშავა ჩვენმა ამხანაგმა, მინგრელსკი პოლკის სალდათმა ფეიქრიშვილმა. იგი გუშინ ჩვენს მიტინგს დაესწრო, ჩვენის გაჭირვების გამო სიტყვები წარმოსთქვა და დღეს დილით დააპატიმრეს. ჩვენ უნდა გავანთავისუფლოთ ჩვენი ძმები, ფეიქრიშვილი და სხვა ამხანაგები. შემდეგ უნდა წავიდეთ და გავანთავისუფლოთ 13 სალდათი საპერნი ბატალიონისა, რომელნიც მეტეხის ციხეში სხედანო.

ნაშუადღევს 4 საათზე მიტინგმა გაათავა თათბირი და დაადგინა: წარუდგინოს მოთხოვნილებანი ნამესტნიკს; ღრმა თანაგრძნობა და ძმური სალამი გამოუცხადოს სევასტოპოლის სალდათობას და შავი ზღვის ფლოტის მატროსებს, რომელთაც თავისუფლების დროშა ააფრიალეს და, გმირის შმიტის წინამძღოლობით, უკეთეს ცხოვრების დასამყარებლად იბრძვიან; მოვთხოვოთ უმაღლეს მთავრობას, რომ ნება მოგვეცეს მიტინგები გავმართოთ ხოლმე როგორც ყაზარმებსა, ისე ქალაქს გარედ.

ბოლოს მიტინგმა გადასწყვიტა ამხანაგების განთავისუფლება. 4000-მდე სალდათი წამოვიდა ქალაქისაკენ, გზაში სალდათები ერთმანეთს არიგებდნენ, რაც შეიძლება მშვიდად წასულიყვნენ, რადგან ხალხმა არ იცის, საქმე რაშია, და შეიძლება შეშინდესო. როცა მინგრელსკი პოლკის ყაზარმებს მოუახლოვდნენ, ერთმა სალდათმა ურჩია ამხანაგებს, მუსიკა მოვითხოვოთ და „მარსელიეზით“ წავიდეთო. დანარჩენთ ამაზე უარი განაცხადეს: ჯერ ნუ ავჩქარდებით, ჩვენი მოთხოვნილებანი მშვიდობიანის გზით მოვითხოვოთ და თუ არ შეგვისრულეს, მერე ჩვენ ვიცითო. სალდათები შევიდნენ მინგრელსკის პოლკის ყაზარმებში და წინადადება მისცეს მორიგ აფიცერს, გაენთავისუფლებინა ფეიქრიშვილი და სხვანი. სულ ერთია, ჩვენ ძალით გავანთავისუფლებთ, თუ ნებით არ გამოუშვებთო. როდესაც ფეიქრიშვილმა ამოდენა ჯარი დაინახა, ჰაუპტვახტის ფანჯარას მოადგა და ამხანაგებს გრძნობით სავსე სიტყვა უთხრა, რამაც ალტაცება და „ურას“ ძახილი გამოიწვია. განთავისუფლებულ ფეიქრიშვილს და ერთს ებრაელ სალდათს სიხარულით მიეგებნენ. შემდეგ სალდათებმა სთქვეს, ორი ჩვენი ამხანაგი ქურდობისათვის არის დაპატიმრებული; განა რამ აიძულა საწყალი სალდათი ქურდობისათვის? რა თქმა უნდა, იმ გაჭირვებულმა ცხოვრებამ, რომელშიაც მთავრობა გვაყენებს. თუ შეცდომა სალდათს მოუვიდა, ეს ჩვენი ცხოვრების ბრალია და არა იმისი, რომ ჩვენ ვითომ ბუნებით მახინჯნი ვიყოთო.

შემდეგ ჯარი გაემგზავრა ტფილისის პოლკში და იქაც ამგვარადვე გაანთავისუფლა ამხანაგები. ღამის 7 საათი სრულდებოდა და მეტეხში წასვლა შეუძლებელი იყო. დაპატიმრებულ საპიორთა განთავისუფლება ჯარმა 23 ნოემბრისათვის გადასდო.

ტფ. სალდათთა კავშირმა გამოსცა მოწოდება, რომელსაც ხვალ დავბეჭდავთ.

ვერაზე

20 და 21 ნოემბერს ნაძალადევში მოხდა მიტინგი მეუმცირესობის ფრაქციისა. მიტინგი შეეხო სომეხ-თათართა ხოცვა-ჟლეტას. ორატორებმა აღნიშნეს, რომ ეს საქმე პროვოკატორთა „მალვაწერების“ შედეგია და სთქვეს, სარევოლიუციო ელემენტებმა ყოველივე ღონე უნდა იხმარონ, რომ ეს გაუთავებელი მტრობა და შურის ძიება მოსპონო. ილაპარაკა ერთმა ორატორმა, დეპუტატმა განჯის მუშათა ორგანიზაციისამ. იგი ამტკიცებდა, რომ ეს საქმე მთავრობის ნამოქმედარიაო.

20 ნოემბერს მიტინგმა დაადგინა, წინადადება მიეცეს სომხისა და მაჰმადიანების ხალხებს მოსპონ ერთმანეთში ესეთი საშინელი და გაუთავებელი სისხლის ღვრა. მიტინგმა აგრეთვე დაადგინა, წინადადება მიეცეს სომხებისა და მაჰმადიანების მუშათა ორგანიზაციებს, შეერთდნენ სხვა მებრძოლ პარტიებთან ერთად და საერთო ძალ-ღონით გაუმკლავდნენ პროვოკატორულ მოქმედებას ადმინისტრაციისას.

21 ნოემბერს მიტინგმა დაადგინა, წინადადება მიეცეს მთავრობას, რომ სამი დღის განმავლობაში გადააყენოს ყველა უფროსი მოხელე განჯის ადმინისტრაციისა. თუ მთავრობამ ასეთს წინადადებას ყურადღება არ მიაქცია, მებრძოლი ორგანიზაციები თავის სურვილისამებრ იმოქმედებენ.

ნაძალადევში

20 ნოემბერს ვერაზე გაიმართა სოციალ-დემოკრატიულ პარტიის მეუმრავლესობის ფრაქციის მიტინგი. მიტინგმა ილაპარაკა განჯაში სომეხ-თათართა შორის ატეხილ სისხლის ღვრაზე და განაცხადა, რომ ეს შეტაკება პროვოკატორთა ნამოქმედარია; ეხლანდელი მთავრობა სცდილობს ერების გადაკიდებით კონტრ-რევოლიუცია გააძლიეროს და განმთავისუფლებელ მოძრაობას ხელი შეუშალოსო. ამ საკითხის შესახებ მიტინგმა შემდეგი რეზოლიუცია მიიღო:

„მიტინგი, აღშფოთებული იმ მხეცურის ამბებით, რომელიც განჯაში ხდება, სცნობს რომ ეს საშინელი მხეცობა შედეგია მთავრობის პროვოკატორულ მოქმედებისა. მხოლოდ ხალხის სრულს გამარჯვებას შეუძლიან მოუღოს ბოლო ამ მოქმედებას და აი ამიტომ ამ საქმისათვის უნდა რევოლიუციონურად აღსდგეს ხალხი ეხლანდელ წეს-წყობილების წინააღმდეგ“.

მიტინგმა მოისმინა აგრეთვე შავი ზღვის ფლოტის აჯანყების ამბავი და დაადგინა:

„მიტინგი ძმურს სალამს უძღვნის სალდათებსა და მატროსებს, რომელნიც ბრძოლის გზას დაადგნენ, რომ გაანთავისუფლონ ხალხი. გამაგრდით, ამხანაგებო, მშრომელი ხალხი იარაღს არ დასდებს იმ დრომდე, ვიდრე არ გაანთავისუფლებს ყველას, ვიდრე არ გაუშვებენ სამშობლოში ყველა იმ სალდათს, რომელთაც სამსახურის ვადა შაუსრულდათ. მშრომელი ხალხის განთავისუფლებით განთავისუფლდება სალდათიც.“

მიტინგი შეეხო აგრეთვე ფოსტა-ტელეგრაფის უწყების მოხელეთა ერთ-სულოვან მოქმედებას და დაადგინა: სახალხო „მიტინგი სალამს უძღვნის ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთ, რომელნიც პროლეტართა საბრძოლველ გზას დაადგნენ. მხოლოდ მშრომელ ხალხთან, მხოლოდ დამფუძნებელ კრებაშია შესაძლებელი დამკვიდრება იმ გამარჯვების შედეგისა, რომელსაც ეხლა მოიპოვებს ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთა მოძრაობა. ჩვენ გვწამს, რომ ახლო „მომავალში, საყოველთაო პოლიტიკურ გაფიცვის დროს გაიფიცებიან ფოსტა-ტელეგრატის მოხელენიც“.

ფელეტონი

ჰუნგრეთი

ნაციონალური საკითხი ჰუნგრეთში.—ავსტრო-ჰუნგრეთის დამოკიდებულობა.—ჰუნგრეთის კონსტიტუცია.—გლეხთა მოძრაობა ჰუნგრეთში და პარტიები.

ჰუნგრეთი ერთა მრავალ ფეროვანებით და ინტერესთა სხვადასხვაობით ძალიან წააგავს რუსეთს.

ავსტრიას რომ თავი დავანებოთ და მარტო ჰუნგრეთი განვიხილოთ, მაშინაც იძულებულნი ვიქნებით ვსთქვათ, რომ ეს ფერადი ქსოვილი მთლად კითხვითი ნიშანს წარმოადგენს. ჯერ პირველი კითხვა—რას ნიშნავს სიტყვა „ჰუნგრეთი“? ნიშნავს იგი ხალხოსნობას თუ სახელმწიფოს? „ჩვენ ჰუნგრელნი ვართ, ე. ი. ჰუნგრეთის სახელმწიფოს უფლებები გვაქვს, მაგრამ მადიარები კი არა ვართო“, ამბობენ ჰუნგრეთის სლოვაკნი, სერბიელნი, რუმინები და გერმანელნი. „ვინც მადიარულ ჰუნგრეთის წინააღმდეგია, იგი არა თუ ჰუნგრელი არ არის, მოღალატეა და გამცემელიო“, უპასუხებს ხოლმე მათ ჰუნგრეთში გაბატონებული მადიართა ერი.

სანამ ჰუნგრეთის ისტორიის მოკლე განხილვას შევუდგებოდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია ჰუნგრეთის სხვა და სხვა ერის რაოდენობა გავაცნოთ მკითხველ საზოგადოებას.

1890 წლის საყოველთაო აღწერით ჰუნგრეთში ითვლება:

მადიარი	—	7,426.730	—	42,8%
კროატი.	—	2,604,260	—	15,01%
სლოვაკი.	—	1,896,641	—	11,01%
რუმინი.	—	2,591,905	—	14,94%
გერმანელი.	—	2,107,577	—	12,15%
რუსინი.	—	383,392	—	2,21%

დანარჩენი მცხოვრებნი ბოლგარნი, ბერძენნი, ალბანელნი და კუცოვალახნი არიან.

ამ რიგად ჰუნგრეთში ნამდვილი ჰუნგრელნი ანუ მადიარნი მცხოვრებთა საერთო რიცხვის 42%ს შეადგენენ და კროატიაც რომ გამოვაკლოთ, რომელსაც, ჰუნგრეთის კონსტიტუციის ძალით, ავტონომია აქვს მინიჭებული, მათი რიცხვი მაინც 48,6%-ს არ აღემატება. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ მადიარნი მცხოვრებთა საერთო რიცხვის ნახევარსაც ვერ შეადგენენ, ბედს მაინც ვერ დაემდურებიან, რადგან ჰუნგრეთის სვე-ბედის გამგენი დღემდის ისინი იყვნენ და დღესაც ისინი არიან. არა მადიარებს კი ერთხელაც ვერ გაუღიმათ ბედმა და მუდმივ ბრძოლაში გამარჯვებულნი ერთხელაც ვერ დარჩნენ. სხვა ერთა შორის ყველაზე საშიში ჰუნგრეთისთვის კროატია იყო, რომელიც სლავიანთა სხვა ერებთან შედარებით კულტურულად უფრო დაწინაურებულია და, მაშასადამე, კულტურულ ბრძოლისთვის უფრო მომზადებული.

მაგრამ ეს საშიში მტერი მადიარებმა დროზე მოიშორეს, როცა 1867 წ., ავსტრიისა და ჰუნგრეთის გამიჯვნის დროს, კროატიას სრული ავტონომია მიანიჭეს და თითქმის მომადლიერებული დასტოვეს.

1847 წელს კროატიამ დიდი დახმარება გაუწია ავსტრიას ჰუნგრეთის ამბოხების ჩაქრობაში და მადიარები სამუდამოდ მოიმდურა. 1867 წლის დებულების ძალით კროატიას თავისი საკუთარი სეიმი აქვს (ლანდტაგი), რომელიც საშინაო საქმეებს თითონ განაგებს; ჰყავს თავისი „ბანი“ მმართველი, რომელსაც ჰუნგრეთის თანხმობით ავსტრო-ჰუნგრეთის იმპერატორი ამტკიცებს და რომელიც თავის ლანდტაგის წინაშე პასუხის მგებელია; აქვს საკუთარი დეპარტამენტები—იუსტიციისა და სახალხო განათლებისა და ამ ორ დარგში თავისუფალ კროატიას კანონმდებლობის უფლებაც აქვს მინიჭებული.

ამგვარ ავტონომიის მინიჭების შემდეგ ჰუნგრეთმა მაინც მაგრად ჩაჰკიდა კროატიას ხელი და სხვაფრივ თითქმის მონაყმად გაიხადა. ამას ჰუნგრეთმა ჩინებულად მიაღწია იმ ზომით, რომ სამხედრო, საფინანსო, საზღვაო, სავაჭრო, სამრეწველო და საგზაო საქმეები ჰუნგრეთისა და კროატიისთვის საერთოდ გამოაცხადა. ამ საქმეთა განსახილველად და გადასაწყვეტად კროატია ჰუნგრეთის პარლამენტში 40 დეპუტატს ჰგზავნის, მაგრამ ბჭობისა და ხმის უფლება მხოლოდ იმ შემთხვევაში ეძლევათ, როცა საქმე კროატიასაც შეეხება. ამ აზრითვე ჰუნგრეთის მინისტრთა საბჭოში არსებობს თავისებური თანამდებობა „კროატიის მომხრე მინისტრისა“, რომელსაც საკუთარი სამინისტრო არა აქვს. საერთო ინტერესთა გასაძღოლად კროატია მთელ თავის შემოსავლის 56%-ს ჰუნგრეთს აძლევს და 44 პროცენტით თავის შინაურ საქმეს უნდა გაუძღვეს. რამდენად არ მოსწონთ კროატიაში ეს დამოკიდებულება, ცხადათა სჩანს იქიდან, რომ კროატია ჯერაც არ დამშვიდებულა და თითქმის ყოველ წელიწადს ამბოხებასა და სისხლის ღვრაში ატარებს დროს.

მაგრამ რა-კი ავტონომია აქვს კროატიას და მის დეპუტატებს თუ საქმე კროატიას არ შეეხება კამათისა და ხმის უფლება არა აქვთ ჰუნგრეთის პარლამენტში, კროატიას შეძლება არა აქვს სხვა ერებს შეუერთდეს და მათთან ერთად გაილაშქროს მადიართა წინააღმდეგ. სწორედ ეს არის მიზეზი, რომ კროატიის მუდმივ ამბოხებასა და უკმაყოფილების გამოცხადებას უფრო გარეგნული ხასიათი აქვს და ჰუნგრეთის შინაურ ცხოვრებაში მყუდროებას ვერ არღვევს,

დანარჩენ ერთა შორის რიცხვით სლოვაკნი უნდა ყოფილიყვნენ მადიართათვის საშიშნი, მაგრამ სლოვაკნი კულტურულად იქამდის დაქვეითებულნი არიან, რომ ინტელიგენცია თითქმის სრულიად არა ჰყავთ და, მაშასადამე, მადიარებთან ბრძოლა არ შეუძლიანთ. სლოვაკთა მცირე ინტელიგენცია ყოველ ღონესა ხმარობს, რომ ნაციონალური თვითცნობიერება გაუღვიძოს თავის ერს, მაგრამ სლოვაკთა დიდი უმრავლესობა ხვნა-თესვას მისდევს, სოფლადა სცხოვრობს და ამ გვარ საკითხებს თავსაც კი არიდებს.

კულტურულად უფრო დაწინაურებული რუმინები, გერმანელნი და სერბიელნი, რასაკვირველია, სლოვაკებზედ უფრო საშიშნი არიან, მადიართა ბატონობისთვის, მაგრამ მადიარებს არა სძინავთ და მათთან ბრძოლაში არავითარ ღონესა და ხერხს არა ზოგავენ. მადიართა საუკეთესო პირნიც კი, რომელთ ვიწრო ნაციონალისტებს ვერავინ უწოდებს, ისინიც ოფიციალურ პოლიტიკის წინააღმდეგობას არა კისრულობენ, რადგან, იმათის აზრით, ერთა უფლებების გათანასწორება ჰუნგრეთში უფრო დაარღვევს ჰუნგრეთის სახელმწიფოს და ფეხს კი ვერას გზით ვერ მოუმაგრებს. მათის აზრით, ერთა უფლებების გათანასწორება თუ სასურველია მაგ. ავსტრიისთვის, ჰუნგრეთისთვის ყოვლად უვარგისი და მავნე მოვლენა იქნება, რადგან მაგ., რუმინთა ეროვნული იდეის ამაღლება და ჰუნგრეთის რუმინელთა რუმინიასთან შეერთება ერთი იქნებოდაო, ამბობენ მადიართა წარმომადგენელნი.

ეს თავისებური შეხედულებაა მიზეზი, რომ „ჰუნგრეთის ყოველი ნამდვილი პატრიოტი“, რაც უნდა ლიბერალი და განათლებული კაცი იყოს, არა მადიართა შევიწროებას როგორღაც გულგრილად უყურებს და მთავრობის პოლიტიკას ხელსაც კი უწყობს. სხვა ერების კეთილდღეობას მადიარელი თავისუფლად სწირავს სახელმწიფოსა და ყველა ერების გამადიარების იდეას. საიდან გაუჩნდა მადიარებს ეროვნულ იდეის თაყვანისცემა და თითქმის გაღმერთება, ძნელი გადასაწყვეტია, მხოლოდ ის კი ცხადია, რომ ამ მოვლენას ერთი და ორი მიზეზი არ ექნება, რასაკვირველია.

ეროვნულ იდეის გაბატონებით უნდა აიხსნას ბევრი სამაგალითო თვისება მადიართა ერისა, მაგ., მისი უსაზღვრო სიყვარული პოლიტიკურ თავისუფლებისადმი, ჰუნგრეთის პარლამენტარიზმის გამაგრება, რომელსაც დღემდინ ვერაფერს აკლებს ავსტრიის რეაქცია და მადიართა ხალხის სიყვარული კონსტიტუციისადმი, რო-

შემდეგი საკითხი იყო „ავტონომია და სოციალდემოკრატია“. ჯერ ილაპარაკეს სოც.-დემოკრატიულმა ორატორებმა. თავის დოგმის თანახმად, უარჰყვეს ეროვნული და ეროვნულ-ტერიტორიალური ავტონომია; უარჰყვეს აგრეთვე კავკასიის ავტონომიაც და განიმეორეს თავისი მოთხოვნა კავკასიის საოლქო თვითმმართველობის შესახებ. სამწუხაროდ, ვერც ერთმა სოც.-დემოკრატიულმა ორატორმა ვერ ახსნა, თუ რა უნდა ვიგულისხმოთ ასეთ საოლქო თვითმართველობის სახელით. ერთი ამბობდა: საოლქო თვითმართველობა იგივე ერობააო, მეორე ამტკიცებდა: იქნება საერთო კანონები, ერთის ცენტრალისტურ პარლამენტის გამოცემული, ხოლო საოლქო თვითმართველობას უფლება ექნება, ადგილობრივ პირობებს და საჭიროებას შეუფარდოს და შეუთანხმოს ეს კანონებიო. მაგრამ რას ნიშნავს ეს შეთანხმება, რამდენად უნდა შეიცვალოს „საერთო“ კანონები; თუ შეცვლა შეუძლია კანონისა საოლქო თვითმართველობას, რატომ არ შეუძლია ახალის გამოცემა და სხვ. ამგვარი საკითხები გამოურკვეველი დარჩა.

ეროვნულ და ეროვნ.-ტერიტორ. ავტონომიის წინააღმდეგ სოც.-დემოკრატიულმა ორატორებმა წამოაყენეს ისევ ის არგუმენტები, რომ მუშა ხალხი გაითიშება, ცალკე ბანაკები იქნებაო და სხ.

მათ პასუხი გასცა სოციალისტ-ფედერალისტმა, რომელმაც მოკლედ ახსნა, თუ რა მნიშვნელობა აქვს ეროვნულ საკითხის გადაწყვეტას მუშა ხალხისთვის, რომ ავტონომია, როგორც ცხოვრებამ დაგვიმტკიცა, საუკეთესო საშუალებაა ხალხთა შორის თანხმობის და ერთობის ჩამოსაგდებად, რომ სოც.-ფედერალისტების პროგრამა არ განისაზღვრება მარტო ავტონომიის მოთხოვნით და სხ. ორატორმა სათითაოდ გაარჩია სოც.-დემოკრატების არგუმენტები ავტონომიის წინააღმდეგ.

სოფლად.

18 ნოემბერს გორის მაზრაში გაიმართა გლეხთა მიტინგი. შეიკრიბა შინდისის, ძლევიჯვარის, ტყექცეულის, არაშენდის, საქაშეთის და ვარიანის გლეხკაცობა. მიტინგმა დაადგინა:

1. დაუყოვნებლივ განთავისუფლებულ იქმნენ პოლიტიკური დამნაშავენი, რომელნიც ჯერ კიდევ საპყრობილეებში იმყოფებიან
2. დაუყოვნებლივ ახსნილ იქმნეს საომარი წესები პოლონეთსა, სარატოვის, ჩერნიგოვის ტამბოვის და სხვა გუბერნიებში.
3. დაუყოვნებლივ სოფლებიდან გაყვანილ იქმნენ ის ყაზახები და სალდათები, რომელნიც დღემდის არ წასულან.
4. დაუყოვნებლივ პასუხის გებაში მიცემულ იქმნას პოლკოვნიკი ალფტანგი და მისი ამქარი გოგოხია, რომელთაც დააწიოკეს და აახრეს მთელი გორის მაზრა.
5. დათხოვნილ იქმნას გორის მაზრის უფროსად ახლად დანიშნული ლეონტიევი, რომელიც ცნობილია საზიზღარ მოქმედებით თიანეთის მაზრაში და ამიტომაც გორის მაზრასაც ხეირს არ დააყრის.
6. პასუხის გებაში მიცემულ იქმნას აფიცერი პას-პამარანსკი ავაზაკურ მოქმედების გამო სოფ. შინდისში ყოფნის დროს.
7. გაუქმებულ იქმნას მამასახლისობა სოფლებში.
8. დაუბრუნდეთ სოფლებს ის ფული, რომელიც ეგზეკუციის ძალით და პოლიციის მათრახებით მოიკრიბა.
9. მოწვეულ იქმნას დამფუძნებელი კრებები რუსეთისათვის და განაპირა ქვეყნებისათვის.
10. რადგანაც მშრომელ ხალხის ცხოვრების ერთად-ერთი სახსარი მიწაა, გადაეცეს მიწა მუშა ხალხს საზოგადო სამფლობელოდ.

ეს რეზოლიუცია დიდის ალტაცებით მიიღო მიტინგმა ცოტა ხნის შემდეგ მოვიდნენ სოც.-დემოკრატიის პარტიის წარმომადგენელნი და წინაღუდგნენ უკანასკნელ მუხლს, მაგრამ მიტინგი უკვე გათავებული იყო და ხალხი ნელ-ნელა დაიშალა.

მაკედონიის საქმე

ბალკანეთის ნახევარ კუნძულზე ისევ ჩაღდება რევოლიუციის ცეცხლი: მაკედონიის გმირი ხალხი მზად არის ერთხელ კიდევ აღზდგეს იარაღით ხელში, გადააგდოს კისრიდან სუტანელი უღელი ოსმალეთის გახრწნილ მთავრობისა და თავისუფალ ცხოვრებას დაეწაფოს

ოცდა ათი წელიწადია მაკედონიის საქმე იპყრობს მთელ ევროპის ყურადღებას, ოცდაათი წელიწადია მაკედონელი უჩივის თავის მწარე ბედს და თან თავგანწირვით იბრძვის ამ ბედის გასაუმჯობესებლად, ოცდა ათი წელიწადია ევროპის ბრძენი დიპლომატია მაკედონიის საქმის გადაწყვეტას სცდილობს, კონფერენციებს ჰმართავს, დაუსრულებელ ნოტებსა და ცირკულიარებს სწერს, ოსმალეთის მთავრობას „მეგობრულ“ რჩევებს აძლევს, ხანდახან მუქარასაც, რასაკვირველია, ცალიერს, უგზავნის და „ურემი კი ისევ იმავ ადგილას დგას“. ოსმალეთის მთავრობა კარგად იცნობს ევროპის დიპლომატიას და ყოველთვის საკადრისს პასუხს აძლევს, საქმეს აჭიანურებს, სანამ დიპლომატია ისევ მიუჩქდებოდეს მაკედონიაში ახალ ცეცხლის გაჩენამდის. მთელი მხარე სისხლით არის მორწყული, შეუბრალებლად იჟლიტება ხალხი, გმირი მამულის შვილები თავს სდებენ წმინდა საქმისათვის და განათლებულ ევროპის განათლებული დიპლომატია კი რუტინის გზას ვერ გასცილებია და კანცელიარიიდან არ გამოდის.

მაკედონიის საქმეში რომ მარტო ოსმალეთი და მაკედონია იყოს დაინტერესებული, საქმე მარტივი იქნებოდა: მისი გადაწყვეტა მაკედონელების ძალ-ღონისა და მომზადებისაგან იქნებოდა დამოკიდებული. მაგრამ საუბედუროდ, მაკედონიას მეზობლები ჰყავს და თითოეულ მათგანს თავის სასარგებლოდ სურს ამ საქმის გადაწყვეტა. ჯერ პატარა სახელმწიფოებია, რომ ერთი მეორეს კრიჭაში უდგანან—არა ჩემი უნდა იყოს მაკედონია და არა ჩემიო. მაგრამ ეს გარემოება არ იქნებოდა იმდენად ხელის შემშლელი მაკედონელების განთავისუფლებისათვის, რადგან მაკედონიამ თვითონ მოუსპო გზა მადა გახსნილ მეზობლებს: მაკედონია მაკედონელებისათვის არის, მაკედონია ცალკე ავტონომიური სახელმწიფო იქნება და არა სურს რომელიმე სახელმწიფოს შეუერთდესო. სულ სხვაა ორ დიდ სახელმწიფოს დამოკიდებულება მაკედონიის განთავისუფლების საქმესთან.

რუსეთის იმპერია დასაწყისიდანვე აგრესიულ პოლიტიკას ადგა. სიტყვა იმპერიალისმი შედარებით ახლად შემოღებულია, მაგრამ იმპერიალისტური პოლიტიკა კი დიდი ხანია ასულდგმულებდა რუსეთის მთავრობის მოქმედებას, რომელიც მხოლოდ იმაზე იყო მიმართული, რომ რაც შეიძლება მეტი ახალი ადგილები დაეპყრო. რასაკვირველია, ეს იმპერიალისტური და ანგაარი პოლიტიკა კაცთმოყვარეობისა და ქრისტიანობის სამოსელში იყო გახვეული და სამწუხაროდ, ეს გარეგანი სამოსელი თვალს უხვევდა საბრალო რუსის ხალხს, რომელიც უკანასკნელ ფულსა და სალდათს აძლევდა მთავრობას, და იმ ხალხებსაც, რომლების გადაყლაპვაც განზრახული ჰქონდათ რუსეთის ხელმძღვანელებს. დღეს, რასაკვირველია, ყველა ხედავს სინამდვილეს და ამიტომაც მოხდა, რომ რუსეთის პოლიტიკამ ეხლა სრულებით დაჰკარგა ნდობა და ძველ ხრიკებს გასავალი აღარ აქვს. რუსეთის საერთაშორისო პოლიტიკის ბაირაღზე ეწერა: ქრისტიანობის დაცვა მაჰმადიანთაგან და მონათესავე სლავების მფარველობა. ერთიცა და მეორეც მხოლოდ დაპყრობას ნიშნავდა და რომ რუსეთს მეტოქე არ გამოსჩენოდა, ადვილად შესაძლებელია, თავის განზრახვას განახორციელებდა კიდეც. მაგრამ რუსეთს ევროპის სახელმწიფოები გადაეღობნენ გზაზე: კონსტანტინეპოლის ბედი აშინებს მთელ დასავლეთ ევროპას, მაგრამ საზოგადოთ ბალკანეთის საქმეში ყველაზე უფრო ავსტრიაა დაინტერესებული, ავსტრიაა, რომ ბირდაპირ ეწინააღმდეგება რუსეთის პოლიტიკას, რადგან რუსეთსავით მასაც განზრახვა აქვს ყველა სლავები გააერთიანოს თავის სახელმწიფოში. 1897-ში ვითომ შეთანხმდნენ ავსტრიისა და რუსეთის მთავრობანი, იმპერატორებმაც ინახულეს ერთმანეთი და საერთო პროგრამა შეიმუშავეს მაკედონიის დამშვიდებისა და საჭირო რეფორმების მოხდენისა, მაგრამ რაკი შეურიგებელის შერიგება შეუძლებელია, პროგრამაც ყოვლად უნაყოფო შეიქნა.

დღეს რუსეთის მთავრობას არა სცალია: სახლში დიდი რევოლიუციაა გაჩაღებული და ევროპასა და ავსტრიასაც გადაუწყვეტიათ ისარგებლონ ამ შემთხვევით: ურუსეთოდ სურთ მაკედონიის საქმის მოგვარება, რისთვისაც ევროპის დიპლომატიას თავის „ცალიერ სიტყვაობისთვისაც კი უღალატნია და ოსმალეთის შესაშინებლად სამხედრო ფლოტის დემონსტრაცია გაუმართავს. ეს კიდევ ცოტაა: ლონდონელ გაზეთ „სტანდარდ“-ს შეუტყვია სარწმუნო წყაროებიდან, რომ თუ დემონსტრაციამაც არ გასჭრა ოსმალეთის მთავრობაზე, ავსტრიას მიანდობს ევროპა დაიპყროს მაკედონია და რეფორმები მოახდინოსო. ყველა ეს მომასწავებელია რუსეთის იმპერიის გავლენის დავარდნისა: ისედაც შესუსტებული მდგომარეობა რუსეთისა ბალკანეთზე დღეს სრულიად დაეცემა. იმის იმედი აღარ არის, რომ მაკედონიამ სრული დაკმაყოფილება მიიღოს. მაგრამ ის კი ეჭვს გარეშეა, რომ რუსეთის გავლენის დაცემა დიდათ შეუწყობს ხელს მაკედონიის განთავისუფლების საქმეს.

მაგრამ არის მეორე მხარეც ამ საქმეში: ოსმალეთის მთავრობა გაჯიუტებულია, არ უნდა დაუთმოს და ევროპას მაჰმადიანობის ფანატიკოსობით აშინებს. და ეს ფანატიკოსობა მართლა სახუმრო საქმე არ არის. სამწუხაროდ აქამდე ოსმალეთის ხალხის უმრავლესობა ბრმად ემორჩილება თავის სასულიერო წოდებას და ერთი მხურვალე მოწოდებაა საჭირო, რომ ეს ამოდენა ხალხი თავდავიწყებული ეცეს ამოსაჟლეტად ოსმალეთში მცხოვრებ ევროპიელებსა და ქრისტიანებს. თუ ოსმალეთის მთავრობამ გაჰბედა და ამ საშინელ ღონისძიებას მიჰმართა, ოსმალეთის უკანასკნელი დღეც დაჰკრავს, ევროპა ჯარებით დაიპყრობს მას და ახლო აღმოსავლეთის დაუსრულებელი საქმე შეიძლება საბოლოოდ გადაწყდეს ისე, რომ რუსეთმა ამ საქმეში ვერავითარი მონაწილეობა ვერ მიიღოს.

ახალი ამბავი

ხელმწიფის დეპეშა. კავკასიის ნამესტნიკმა, იმ დეპეშის საპასუხოდ, რომლითაც მან ხელმწიფეს აცნობა 22 ოქტომბერს მომხდარ სისხლის ღვრის ამბავი, მიიღო შემდეგი დეპეშა: „გადაეცით ტფ. იუნკრებსა და კადეტის მოსწავლეებს ჩემი მადლობა და ქება იმ სამაგალითო ქცევისათვის, რომელიც მათ გამოიჩინეს ტფილისის ქუჩებზე ფრიად საშიშ და გაჭირვებულ მდგომარეობის დროს.“ ნამესტნიკის დეპეშის შინაარს შემდეგ დავბეჭდავთ.

ოსმალეთის ჯარი რუსეთის საზღვართან. რუსული გაზეთები სწერდნენ და ჩვენც გავიგეთ, რომ ყარსის მახლობლად საზღვარზე ოსმალეთს დიდ-ძალი ჯარი შეუკრებია. ამ ჟამად იქ სამი კორპუსი სდგას თურმე. მეოთხე კორპუსის მობილიზაცია ეხლაა და ამ კორპუსის ჯარიც საზღვარზე აპირებს მოსვლას.

სტამბოლის აკლება. ტფილისში ხმა დადის, რომ ევროპის სახელმწიფოთა შეერთებულმა ესკადრამ ყუმბარები დაუშინა სტამბოლსაო. როგორც მკითხველებს ეხსომებათ, სახელმწიფოებმა მართლაც გაჰგზავნეს ესკადრა ოსმალეთში. მიზეზი ესკადრის გაგზავნისა ის არის, რომ ოსმალეთი უარს აცხადებს მაკედონიაში ევროპიელთა კანტროლის დაწესების შესახებ.

ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთა ბიუროს დაპატიმრება. მოსკოვიდან ფოსტა-ტელეგრაფის ბიუროსაგან შემდეგი დეპეშა მოვიდა: „მოსკოვის ბიურო დააპატიმრეს. ავირჩიეთ მეორე ბიურო. გაფიცვა განაგრძეთ. ელოდეთ განკარგულებას. მხნედა ვართ“. მეორე დეპეშში: „მხნედა ვართ. კრება მუშაობს. 11 ნოემბერს მოველით პეტერბურგიდან ჩვენს დელეგატებს. გადაწყვეტილებას შეგატყობინებთ. იყავით მხნედ და წყნარად“.

ხარჯის აკრეფა. დუშეთის მაზრის ადმინისტრაცია ყაზახების დახმარებით გადასახადებსა ჰკრებავს. ამ ჟამად ფული იკრიბება საგურამოსა და ახალგორში.

კრება. 21 ნოემბერს ტფილისში მოხდა კრება მაჰმადიანებისა, სომხებისა და ქართველთა საზოგადოების ერთ ნაწილისა. მოილაპარაკეს იმის შესახებ, რა ილონონ, რომ ტფილისშიაც არ მოხდეს სომეხ-მაჰმადიანთა შორის სისხლის ღვრა. კრებამ აარჩია ოცი კაცი და დაავალა იზრუნონ ამ საქმისთვის.

ქართველ მასწავლებელთა კრება. ორშაბათს საღამოს სამეურნეო ბანკის სადგომში შეიკრიბნენ ტფილისის ქართველი მასწავლებელნი. რამდენიმე მასწავლებელი სოფლიდანაც იყო. კრების საგანი ქართველ მასწავლებელთა საზოგადოების დაარსება იყო. დიდმა უმრავლესობამ აუცილებელ საჭიროებად სცნო ასეთ საზოგადოების დაარსება კულტურულის აზრით: მომავალმა საზოგადოებამ უნდა იზრუნოს სწავლა-აღზრდის საქმის საუკეთესოდ მოწყობისათვის ქართველთა შორის. კრებამ აირჩია ბიურო საზოგადოების წესდების პროექტის შესამუშავებლად და დეკემბრის ბოლო რიცხვებში ქართველ მასწავლებელთა საზოგადო კრების მოსაწვევად. კრებამ აირჩია აგრეთვე კომისია, რომელმაც უნდა შეადგინოს მოხსენება უფრო დაწინაურებულ ხალხთა დაბალ და საშუალო სკოლის შესახებ მომავალ საზოგადო კრებისათვის და ეხლავე შეუდგეს ზოგ სახელმძღვანელოების გადმოთარგმნა—შედგენას და გამოცემას.

პედაგოგთა კრება. კვირას მეორე გიმნაზიის სადგომში მოხდა ტფ. პედაგოგთა კრების გაგრძელება. ამ კრებას განსახილველი ჰქონდა პროექტი „მთლად კავკასიის პედაგოგთა კავშირისა“. წაიკითხეს წინა დღის ოქმი, სადაც განკის უბედურ ამბების გამო გამოთქმულ იყო ზიზღი ამ სამარცხვინო საქმის მოწყობელთა და მომზადებელთა მიმართ და თანაგრძნობა დაზარალებულთა მიმართ. აგრეთვე დაადგინეს, რომ საჭიროა დამფუძნებელ კრების მოწვევაო. მაგრამ ეს დადგენილება გულწრფელი არა ყოფილა. ეს დამტკიცდა მაშინ, როდესაც პროქტის პირველ ორს პარაგრაფს არჩევდნენ. პედაგოგთა კრებამ უარჰყო ის წინადადება, რომ პროექტში შეტანილ იქმნას მოთხოვნილება დამფუძნებელ კრების შესახებ და საჭიროდ მიიჩნია, ამ პროექტთან ერთად გაიგზავნოს განსამარტებელი წერილი, სადაც იქნება მოთხოვნილი დამფუძნებელი კრება. ბოლოს პროექტის პირველი ორი მუხლი მიღებულ იქმნა უცვლელად. შემდეგ რამდენიმე მუხლი კიდევ განიხილეს და მიიღეს. კრების გაგრძელება მოხდება დღეს, საღამოს 5 საათზე, დედათა მეორე გიმნაზიის სადგომში.

რკინის გზის ტელეგრაფისტთა მოთხოვნილებანი. ამიერ-კავკასიის რკინის გზის ტელეგრაფის მოხელეებმა 22 ნოემბერს წარუდგინეს თავიანთი მოთხოვნილებანი გზის უფროსის თანამ. აღმასრულებელს რახმანინს და ამ მოთხოვნილების ასასრულებლად ვადად დაუდეს იანვარი. ეხლავე მოითხოვეს მხოლოდ ორი მუხლის ასრულება: 1. ტელეგრაფის ის მოხელენი, რომელნიც ზაფხულის გაფიცვის დროს დაითხოვეს, უკანვე მიიღონ, ხოლო გადაყვანილნი დააბრუნონ; 2. ტელეგრაფის ეხლანდელი უფროსი ბ-ნი გომალიცკი დათხოვნილ იქმნას სამსახურიდან. რახმანინმა უთხრა, პირველ მუხლს აგისრულებთ, რაც შეეხება გომალიცკის—გამოვიძიებო.

ბანკის რწმუნებულთა კრება. სათავად-აზნაურო ბანკის რწმუნებულთა საგანგებო კრება დაიწყო 20 ნოემბერს. თავმჯდომარეობდა თავ. ს. რ. ვახვახიშვილი. კრებამ ფეხზედ ადგომით პატივი სცა 29 აგვისტოს და 22 ოქტომბრის მსხვერპლთა ხსოვნას. წაკითხულ იქმნა კომისიის მოხსენება ზედამხედველ კომიტეტის რეორგანიზაციის შესახებ. შემდეგ მოისმინეს პროექტი ა. ი. კობიაშვილისა, და გაიმართა კამათი ა. ი. კობიაშვილი ორ დღეს თითქმის განუწყვეტლივ ლაპარაკობდა. ორატორთა უმრავლესობა თხოულობდა კომიტეტის რეორგანიზაციას ბოლოს კრებამ დაადგინა, მოახდინოს რეორგანიზაცია კომიტეტისა და გუშინდელ დღიდან შეუდგა კიდეც იმის შემუშავებას, თუ რა ცვლილებაა საჭირო.

მიტინგი ბიურომ მე-3 ქალების გიმნაზიისამ დაადგინა გამართოს მიტინგი დღეს 11½ საათზედ და სთხოვენ ყველა სასწავლებლების მოწაფეთ დაესწრნენ ამ მიტინგს.

სახლის პატრონთა მიტინგი. 21 ნოემბერს, დილით, დიდუბეში მოხდა მიტინგი ტფილისის სახლის პატრონთა. მიტინგს დაესწრო, თითქმის ყველა უბნიდან, ასორმოც კაცამდე. რამდენიმე კაცმა დაასურათა სახლის პატრონთა მდგომარეობა. ხანგრძლივის კამათის შემდეგ კრებამ ამოირჩია თხუთმეტი კაცი და დაავალა, განიხილონ აღძრული საკითხები და თავიანთი მოსაზრება მოახსენონ მომავალ მიტინგს, რომელიც მოხდება კვირას დილით, „სობრანიის“ ბაღში.

დაზარალებულთა სასარგებლოდ. 21 ნოემბერს, ს.-დ. პარტიის მეუმცირესო-

---

რომლისთვისაც მადიარი ყოველ წუთს მზად არის სისხლი დაღვაროს და თავისიანიც-კი არ დაინდოს.

კონსტიტუციის ასეთმა ძლიერმა და შეგნებულმა სიყვარულმა შეაძლებინა მადიართა ერს, რომ საშინელ ბრძოლიდან და მრავალ უბედურებიდან გამარჯვებული გამოსულიყო და ძლიერ ავსტრიის ბრჭყალებიდან თავი დაეხწია. მაგრამ ამ დიდ სიყვარულთან ერთად, არა ნაკლები პოლიტიკური უსინიდისობაც გამოიჩინა მადიართა ერმა, როდესაც ერის თვითარსებობისთვის ბრძოლის დროს სხვა ერთა უფლებებს გვერდი აუხვია და შეზღუდა კიდეც.

ჰუნგრეთის „თავისუფალ“ კონსტიტუციის წინააღმდეგ ამ შემთხვევაში ვერაფერს იტყვის კაცი, რადგან ყოველ ადამიანში ისეთ პიროვნებას ჰხედავს იგი, რომელსაც სრული უფლება აქვს რომელ ერსაც უნდა, იმას ეკუთვნოდეს. განსაკუთრებული კანონი ამის შესახებ პირდაპირ აცხადებს, რომ სხვა და სხვა კურებებსა და სხდომებზე ყოველ ორატორს უფლება აქვს თავის სამშობლო ენაზე წარმოსთქვას სიტყვა; შეკრებილთა ერთ მეხუთედს უფლება აქვს ოქმიც-კი სასურველ ენაზე დააწერინოს. წვრილი და საშუალო მოხელენი მოვალენი არიან უთარჯიმანოთ განაგონ ყოველი საქმე. ყოველ ერს უფლება აქვს თავის ენაზედ მოაწყოს სასკოლო საქმე და ეკლესიებშიაც სამშობლო ენაზედ მოისმინოს წირვა-ლოცვა. მართლაც ჰუნგრეთში ბევრი დაბალი და საშუალო სასწავლებელია, სადაც მადიართა ენას სრულიად არც-კი ასწავლიან.

ჰუნგრეთის საკონსტიტუციო დებულებას თუ დაუჯერეთ, სხვა ერებს ჰუნგრეთში თუ პოლიტიკური უფლებები არა, ეროვნული მაინც სრულად უნდა ჰქონდეთ მინიჭებული. ასე უნდა იყოს მით უმეტეს, რომ ეროვნულ არსებობის უფლებები ყველა ერისთვის ერთნაირად აქვს ჰუნგრეთს დაკანონებული. მაგრამ ნამდვილად-კი საქმე ცოტა სხვაგვარად არის მოწყობილი. რადგან ჰუნგრეთის სახელმწიფო საქმეთა გაძღოლა ფაქტიურად მადიართა ერსა აქვს ხელში ჩაგდებული, რასაკვირველია, მოხელეთა და საზოგადოდ ქვეშევრდომთა დაწინაურება და დაჯილდოებაც იმათ ეკითხებათ, ამისა გამო მცხოვრებთა საშუალო კლასი, რომელიც მრა მოვალ ხელეს და სხვა საჭირო პირებს აძლევს სახელმწიფოს, როგორც ბუზი თაფლს, ისე ელტვის მადიართა ერსა და ამ მიზეზისა გამო შეუმჩნევლად იღებს მისგან ზნე-ჩვეულებებს თუ ენას და თავისებურებას ჰკარგავს. ბევრი მოღვაწე და მწერალიცა ჰყავთ (მაგ., პოეტი პეტროვიჩი) მადიარებს, რომელნიც ჩამომავლობით ჰუნგრელნი არ არიან და ამ ერის ინტერესებს-კი ემსახურებიან.

მთავრობა სხვა ერების გამადიარების მშვიდობიან პროცესს არა სჯერდება, თუმცა სწორედ ეს გზა უფრო ადვილად მიიყვანდა მიზნამდის.

რაც უნდა ბევრი იყვირონ მადიარებმა თავიანთ თავისუფალ კონსტიტუციისა და ჰუმანიურ კანონმდებლობის შესახებ, რაც უნდა ბევრი არწმუნონ ევროპის საზოგადო აზრი—ჩვენ ბედნიერ სამშობლოში თხა და მგელი ერთადა სძოს და ყველა ერს თვით არსებობის უფლებანი სავსებით აქვს, მინიჭებულიო, მაინც ერთი ის ფაქტი მხოლოდ, რომ არა მადიართა ერებს, რომელთა საერთო რიცხვი 10 მილიონს უდრის, ჰუნგრეთის პარლამენტში თავიანთ წარმომადგენლები არა ჰყავთ, მარტოკა ეს ფაქტი საკმარისია, რომ სიტყვა „თავისუფალი ჰუნგრეთი“ ყალბად დასახოს ადამიანმა. ჰუნგრეთს თავისუფლად არა ვსახავთ, რასაკვირველია, სხვა თავისუფალ სახელმწიფოებთან შედარებით, თორემ კერძოდ ჩვენ, ყველა ის უფლება, რითაც ჰუნგრეთის ერები კმაყოფილნი არ არიან, სიზმრადაც არ დაგვეზმანება.

1526 წლიდან მოყოლებული, როდესაც ჰუნგრეთის ტახტი მემკვიდრეობით ჰაბსბურგებს ერგოთ, ჰუნგრეთსა და ავსტრიის შორის უკმაყოფილება არ გათავებულა, 1848 წელს ჰუნგრელთა უკმაყოფილებამ თავის აპოთეოზს მიაღწია და რუსეთის იმპერატორი ნიკოლოოზ I და კროატია რომ არ დახმარებოდნენ ავსტრიას, ჰუნგრეთი მაშინვე აღიჭურვებოდა გამარჯვებულის ძლევა-მოსილებით. როგორც ზევითა ვსთქვით, ავსტრიამ ორ ერის დახმარებით ჰუნგრეთის მღელვარება ჩააქრო და შურის ძიებაში იქამდის მივიდა, რომ ქვა ქვაზედ აღარ დასტოვა—ყველა მეამბოხე და გამოჩენილი მადიარიც სიკვდილით დასაჯა, დამონავებულ ჰუნგრეთს კონსტიტუციაც წაართვა და მთელი ჰუნგრეთი გერმანელ მოხელეებით აავსო.

პირველის შეხედვით კაცს ეგონებოდა, ჰუნგრეთის სახელი სამუდამოდ აღმოიფხვრა დედამიწის ზურგიდან და მისი ისტორიული ცხოვრება სამუდამოდ გათავდაო. მაგრამ 1848 წ. დაღვრილ სისხლის დავიწყება ყოვლად შეუძლებელი იყო მადიართათვის. ამ დღის შემდეგ ავსტრიის ყოველ ძალმომრეობას ჰუნგრეთი პასსიურ წინააღმდეგობას უწევდა და ავსტრიაც ყოველ წუთსა ჰგრძნობდა, რა საშინელ მტერსა ზრდიდა თავის გულზედ. ამას მაშინ უფრო ძლიერ იგრძნობდა ხოლმე ავსტრია, როცა თითონ გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავარდებოდა.

წააგო თუ არა ავსტრიამ იტალიაში ომი, თითონვე დაიმდაბლა თავი და ზოგიერთ საკითხებში ჰუნგრეთს წინააღმდეგობა აღარ გაუწევია, მაგრამ ჰუნგრეთი ნახევარ ზომებს არა სჯერდებოდა. ავსტრიამ ბევრჯერ მოიწვია ჰუნგრეთის წარმომადგენელნი თავის პარლამენტში, მაგრამ ჰუნგრეთი ჯიუტად უარს აცხადებდა და მუდამ უწინდელ კონსტიტუციაზედ უთითებდა. 1866 წ. ავსტრია საშინლად დამარცხდა გარეშე მტერთან ბრძოლაში და ამან ხომ სამუდამოდ მოალბო იმისი პოლიტიკა, ერთი წლის შემდეგ, სახელდობრ 1867 წ., ავსტრია და ჰუნგრეთი შეთანხმდნენ და ერთი სახელმწიფო დააარსეს. ამ შეთანხმების ძალით, საკანონმდებლო და საადმინისტრაციო საქმეებში ერთი მეორისაგან სრულიად დამოუკიდებელნი, საერთოდ აღიარებენ: 1. გარეშე საქმეთა პოლიტიკას (დიპლომატიური და კომერციული წარმომადგენლები; სავაჭრო ხელშეკრულობათა მოწესრიგებას და სხ.); 2. სამხედრო ძალას (ხმელეთის ჯარი და ფლოტი); და 3. საფინანსო საკითხებს. ამის დაგვარად ჰუნგრეთისა და ავსტრიის ერთი-ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ მმართველობასთან ერთად არსებობს აგრეთვე საერთო საქმეთა გასაძღოლი მმართველობაც—გარეშე საქმეთა, სამხედრო და ფინანსთა სამინისტროები. ვის აძლევს ეს საერთო მმართველობა ანგარიშს და ვინ უწევს მათ ხელმძღვანელობას? ჰუნგრეთის რეიხსტაგის გარდა, რომელიც ჰუნგრეთის საქმეებს უძღვება და ავსტრიის რეიხსრატისა, რომელიც ავსტრიის საქმეებს უდგია სათავეში, არსებობს ერთგვარი დაწესებულება, რომელსაც სახელად „დელეგაცია“ ჰქვიან და რომელიც ავსტრიისა და ჰუნგრეთის მიერ არჩეულ დელეგატებისაგან შესდგება. ავსტრიის რეიხსრატი და ჰუნგრეთის რეიხსტაგი ორმოც ორმოც დელეგატს ირჩევენ და ოც-ოცს კიდევ ორსავე სახელმწიფოს პალატები. ხსენებული დელეგატები ყოველ წელიწადს ჯერ-ჯერობით ხან ვენაში და ხან ბუდაპეშტში იკრიბებიან, მხოლოდ ყოველი დელეგაცია ცალკე მართავს სხდომებს და თავის გადაწყვეტილებას უსათუოდ წერილობით აუწყებს მეორეს. სამჯერ მიწერილ გადაწყვეტილებისა და სამის პასუხის მიღების შემდეგაც თუ ვერ შესთანხმდნენ დელეგატები, საერთო კრების დანიშვნის უფლება აქვთ. მაგრამ ამ შემთხვევაშიც ორივე დელეგაციას საკუთარი თავმჯდომარე ჰყავს ხოლმე.

ამ გვარად არსებობს ისეთი პუნქტი ავსტრო-ჰუნგრეთის სახელმწიფოსთვის, სადაც ორსავე სახელმწიფოს პოლიტიკა და ცმართულება უსათუოდ შეთანხმებულ და დაკავშირებულ უნდა იქნას.

ი. პ—ვ

(შემდეგი იქნება)

ბის ფრაქციის მიტინგზე, ბ-ნთ ლორის-მელიქოვმა და ჯიჯავაძემ, განჯაში სომეხ-თათრების შეტაკების დროს დაზარალებულთა სასარგებლოდ, შეაგროვეს 133 მანეთი.

✦ **დეპუტაცია ეგზარხოსთან.** ეგზარხოსთან გუშინ წარსდგა დეპუტაცია ქალაქის მთავარ-დიაკონთა და მოსთხოვა მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. ეგზარხოსმა გადაჭრილი პასუხი არ მისცა და სთქვა, ყველანი რომ არშეყრილიყავით და არ შემოსულიყავით არ იქნებოდაო? მერე გატრიალდა და თავი მოარიდა.

✦ **ქართველ სამღვდელოების მოწოდება.** ქართველ სამღვდელოების ერთმა ჯგუფმა შეადგინა მოწოდება განჯაში სისხლის ღვრის გამო და გაუგზავნა სომხეთა ეპისკოპოსს გარეგინ სატუნიანს და მაჰმადიანთა შეიხ-ულ-ისლამს. მოწოდებაში სამღვდელოება უ'ჩევს სისხლის ღვრის შეწყვეტას და მშვიდობის დამყარებას.

✦ გუშინ „სალდათის ბაზარზე“ ერთს უცნობ პირს, გვარად სიმონ გოგებაშვილს, კომიტეტის სახელით ფული უგროვებია, ამ დროს დაიჭირეს და როდესაც გამოჰკითხეს, ვინ დაგავალაო, გამოტყდა, რომ თავისთვის სდომებია. მაშინ წაუსვეს პირზე მური და შემოატარეს იმ ადგილებში, სადაც მოაგროვებია და ყველას ბოდიშის მოხდის შემდეგ ფული უკანვე დაუბრუნა, ხოლო გადარჩა 1 მან. და 10 კაპ., რომელთა პატრონებიც იმავ ადგილას აღარ დახვდათ, ეს ფული მიიღო „ცნობის ფურცლის“ რედაქციამ დაზარალებულ გურულთა და ქართლელთა სასარგებლოდ.

სალდათების უწყალოდ ამოჟლეტა

ამ ბოლო დროს რუსეთის ყველა კუთხიდან მოდიოდა შემაძრწუნებელი ამბები ხალხის ჟლეტა-ხოცვის შესახებ, მაგრამ ტაშკენტიდან მოსულმა ამბავმა თავის სიმხეცით ყველას გადააჭარბა.

გუშინ წინ, 21 ნოემბერს, ნაძალადევში მიტინგზე წაკითხულ იქნა ტაშკენტიდან მიღებული წერილი. როგორც ამ წერილიდანა სჩანს აი რა მომხდარა ტაშკენტში:

15 ნოემბერს ტაშკენტში შეკრებილან სალდათები, რიცხვით ათი ათასამდე, დასჯაბაასი გაუმართავთ თავიანთ აუტანელ მდგომარეობაზე. სალდათები თავიდან-ფეხამდე შეიარაღებულ!ნი ყოფილან. მისულა ადგილობრივ ჯარის უფროსი, გენ. პეტრაპოვი და უთქვამს შეკრებილებისთვის: **„იარაღი რა საჭიროა, ვისი გეშინიათ, აიყარეთ იარაღი, დააწყეთ თავის ადგილას და ისე იბაასეთო“.** სალდათებს გულუბრყვილოთ დაუჯერებიათ, იარაღი შეუნახავთ და ისე განუგრძიათ ბაასი. ამ დროს გაისმა თურმე ცხენების თქარა-თქური და თვალის დახამხამებაზე ყაზახ-რუსებს ალყა შემოურტყამთ როგორც სალდათების მიტინგისა, ისე იმათ ყაზარმებისთვის. ამტყდარა საშინელი სროლა სალდათებისაკენ, ყვირილი, კვნესა-ოხვრა უიარაღო ხალხისა. როცა ყველაფერი გათავებულა, „ბრძოლის“ ველზე დარჩენილა ათას ორასამდე მოკლული, და აუარებელი დაჭრილი სალდათი.

ეს ამბავი ხელად მოსდებია მთელ იმიერ კასპიის მხარეს. „ძლევა მოსილი“ გენერალი, ამ ამბის შემდეგ, ჩარჯუის რკინის გზით სადღაც წასულა და თან რაღაც ქაღალდები წაუღია. სხვა ადგილებში მყოფ სალდათებსაც გაუგიათ ამხანაგების ესე უწყალოდ ამოხოცვის ამბავი. გაუგიათ აგრეთვე, ვინ გამართა ეს ხოცვა-ჟლეტა და ისიც შეუტყვიათ, რომ მხეც გენერალს ქაღალდები წაუღია ჩარჯუის გზით. ამ გზის ერთ სადგურზე თავი მოუყრია რამდენსამე ასს შეიარაღებულ სალდათს და დახვედრია სწორედ იმ მატარებელს, რომლითაც ხსენებული გენერალი გამგზავრებულა. მისულა თუ არა სადგურზე მატარებელი, სალდათებს დაუყვირნიათ შიგ მყოფ გენერლისთვის: „სად მიხვალ, ან სად მიგაქ ქაღალდებიო?“ გენერალს უთქვამს: „მე არა ვარ ვალდებული თქვენ ანგარიში ჩაგაბაროთო“. ამ მის მისცვივნიან სალდათები, მოუხსნიათ ის ვაგონი, სადაც გენერალი მჯდარა, გადაუყვანიათ იგი სხვა ლიანდაგზე, ჩაუკეტიათ შიგ გენერალი, დაუყენებიათ ძველები და საჭმელად მშრალი პური და წყალი მიუციათ.

ამითი თავდება წერილი. მიტინგის ხელმძღვანელებმა დასძინეს, ჯერ-ჯერობით ვერ ვიტყვით, რამდენად მართალია ამ წერილით გადმოცემული ამბები.

კრებსა

კვირას, ოცს ნოემბერს გამოვიდა ტფილისში პირველი ნომერი ყოველდღიურ გაზეთის „კავკაზსკი რაბოჩი ლისტოკ“-ისა. ახალის ან, უფრო სწორედ რომ ვთქვათ, განახლებულ გაზეთის რედაქცია აცხადებს, რომ ეს გაზეთი შეიქნება სარევოლიუციო სოციალ-დემოკრატიის ორგანოდ და გამოარკვევს მეცნიერულ სოციალიზმის თვალთახედვის ისრით მუშათა მოძრაობას და საერთოდ ხალხის ეხლანდელ მოძრაობის სარევოლიუციო ლოზუნგებს. ამგვარად, ახალ გაზეთის მიმართულება საკმაოდ ნათელი და გამორკვეულია, თუმცა იგი მაინცა და მაინც ჯერ-ჯერობით პარტიული ორგანო არ არის. სოციალდემოკრატიის მარქსისტული აზრები ჩვენი მკითხველებისთვის ახალს არაფერს არ წარმოადგენს და ამიტომ არც საჭიროდ მიგვაჩნია ახალ გაზეთის საპროგრამო წერილის შინაარსი მოვიყვანოთ აქ.

როგორც ვიცით, ჩვენის სოციალდემოკრატების აზროვნებაში მეტად გამოურკვეველი და ბურუსიანი ადგილი უკავია ეროვნულ საკითხს, რომელიც თანდათან უფრო მეტის სიმტკიცით ითხოვს გადაწყვეტას რუსეთის იმპერიაში. „კავკაზსკი რაბოჩი ლისტოკ“-ის მეფელეტონე ბ-ნი გ. კ., არკვევს რა პოლონეთის ეროვნულს საკითხს და იქაურს მოძრაობას, გვაუწყებს, რომ ოცდაათის წლის წინად პოლონეთის სეპერატისტული მოძრაობა აღნიშნავდა რუსეთის დესპოტიზმის და იმასთან ერთად საერთაშორისო რეაქციის შესუსტებას, ამიტომ მაშინ ეს სეპარატისტული მოძრაობა პროგრესიული, რევოლიუციონური იყო, ეხლა კი იგივე სეპარატიზმი რეაქციონური მოვლენაა.

თუ მაშინ პოლონეთის აღდგენაზე რევოლიუციონურ პროლეტარიატის იდეოლოგები ოცნებობდნენ, ეხლა ამ საგანზე რეაქციონურ ბურჟუაზიის იდეოლოგები ოცნებობენ. რუსის ახალ მთავრობის დაფარული მისწრაფება ის არის, რომ გაარღვიოს გაერთიანებული ჯაჭვი სრულიად რუსეთის პროლეტარიატისა, გამოაცალკევოს პოლონეთი და აავსოს იგი სისხლით და ცრემლით. შეგნებულ პოლონელ პროლეტარიატის წრეებში პოლონეთის დამოუკიდებლობის აზრმა სრულიად დაჰკარგა გასავალი. თვით პ. პ. ს. (პოლონელთ პარტია სოციალისტებისა), ეს ნაციონალისტური წვრილ ბურჟუაზიული პარტიაც კი, როგორცა სჩანს, კმაყოფილდება ეროვნულ ავტონომიით. პარტიები „პროლეტარიატი“ და „პოლონეთის და ლიტვის სოციალდემოკრატია“ სურვილს აცხადებენ ხელი-ხელ ჩაკიდებულთ იარონ რ. ს. დ. მ. პარტიასთან. პოლონეთის პროლეტარიატი ჰკრძნობს, რომ რუსეთში აღიზარდა გმირი—რუსის მუშა, რომელიც ძმურად აძლევს მას ხელს, და იმას არავითარი სურვილი არა აქვს ჩამოეცალოს თავის თანამებრძოლს.

როგორც აქედან სჩანს, ახალი გაზეთი პოლონეთის პროლეტარიატს და პოლონელთა პარტიას სოციალისტებისას ერთმანეთს უპირდაპირებს, როგორც სხვა და სხვა პოლიტიკურ იდეალების მატარებლებს, და პოლონელთა პარტიას სოციალისტებისას უწოდებს ნაციონალისტურს და წვრილბურჟუაზიულს. ეს ან უცოდინარობაა და ან ფაქტების თავისუფალი გადაკეთება: პოლონელთა პარტია სოციალისტებისა ყოვლის უწინარეს პროლეტარიატის პარტიაა, ყოვლის უწინარეს პროლეტარიატის ინტერესებს იცავს და იმის მებრძოლ დროშაზე ნათლად აწერია „სოციალიზმი“; ეს პარტია ყველა სხვა პარტიაზე ძლიერია და ეროვნულ საკითხს სწორედ ისევე სწყვეტს, როგორც ქართველ სოციალისტ-ფედერალისტების პარტია. ალბად, ეს გარემოება უნდა იყოს მიზეზი, რომ ჩვენებურ სოციალდემოკრატიულ გაზეთს მაგრე რიგად არ მოსდის ჭკუაში პოლონელთა პარტია სოციალისტებისა.

⁂

გაზეთი „მოგზაური“ მეტად საინტერესო ცნობას იძლევა ბაქოს სოციალდემოკრატიულ ორგანიზაციათა მოქმედების შესახებ:

რ. ს.-დ. მ. პარტიის ბაქოს კომიტეტმა და სარაიონთა შორისო კრებამ, 5 ნოემბერს, დაადგინა:

I. „უმრავლესობის“ და „უმცირესობის“ შეერთების საკითხის გადაწყვეტა დამოკიდებულია პარტიის ცენტრ. დაწესებულებაზე.

II. დღეს შესაძლებელია და მიუცილებელი საჭიროებაც არის მხოლოთ შეთანხმება ადგილობრივ პროლეტარიატის საერთო მოქმედებათა გაერთიანების შესახებ.

III. საერთო მოქმედების მოსაწყობათ და იმის ხელმძღვანელობისთვის, ისეთ მოქმედებაში, რომელიც ერთნაირათ საჭიროთ მიაჩნია ორივე ფრაქციის ადგილობრივ ორგანიზაციას, ორივე სოც.-დემ. ორგანიზაციები შეადგენენ ფედერატიულ საბჭოს.

1) ფედერატიული საბჭო არის გადამწყვეტი და ხელმძღვანელი ორგანო შეერთებული სარაიონთაშორისო კრების იმ კითხვების გადაწყვეტაში (საერთო მოქმედების მოწყობა), რომლებისათვის იგი არსდება, თავის მოქმედების შესახებ ფედერატიული საბჭო ანგარიშს აძლევს სარაიონთაშორისო კრებას.

2) ფედერატიული საბჭო მართავს კრებებს, მიტინგებს, დემონსტრაციებს, საყოველთაო გაფიცვებს და სხვა., ერთი სიტყვით ყველაფერს, რაც გამომდინარეობს იმ მიზნისაგან, რომლისთვისაც იგი მოწოდებულია. იგი აგრეთვე აწყობს მებრძოლ რაზმს და შეიარაღების საქმეს, ანაწილებს საავიტატორო ძალებს ორივე ორგანიზაციებისას და ცემს პრაქტიკულ ხასიათის ფურცლებს.

3) ფ. ს. შედგება ორივე ორგანიზაციის წარმომადგენლების თანასწორ რიცხვისაგან, რომელთაც ირჩევს შეერთებული სარაიონთაშორისო კრება, რომელიც აგრეთვე შემდგარია ორივე ორგანიზაციის წარმომადგენლების თანასწორი რიცხვისაგან.

4) სარაიონთაშორისო კრება, დარწმუნებულია იმაში, რომ პარტიის ორ ფრაქციას შორის განხეთქილების მოსასპობლათ და მისი გაერთიანებისათვის საჭიროა ნიადაგის მომზადება და ორივე ფრაქციის ადგილობრივ ორგანიზაციების ერთმანეთთან დაახლოვება პრაქტიკულ კითხვების ნიადაგზე, სასურველათ ცნო, რათა რაიონულ და საქარხნო ორგანიზაციებმა გამართონ შეერთებული კრებები პრაქტიკულ კითხვების გამოსარკვევათ.

რადგანაც ამ კრების შემდეგ ორ ფრაქციას შორის სრული შეთანხმება არ მოხდა, ორივე ფრაქციის მუშები შეიკრიბნენ და გადაწყვიტეს შეერთებულიყვნენ.

ცხადია, ბაქოელ მუშებს ფხიზელს გონებას ვერ შეუგუებია ის პარტიული განხეთქილება, რომელიც ინტელლიგენტ-სოციალდემოკრატების შორის. ჩამოვარდა, განყენებულ პრინციპებზე მაღლა ეხლანდელ მოძრაობის პრაქტიკული საჭიროება; ერთსულოვანება დაუყენებიათ და თითონ მოუხდენიათ შეთანხმება წინააღმდეგ მათს წინამძღოლების დამჩემებელ სოციალდემოკრატიების ორგანიზაციის სურვილისა. ეს პირველი ნაბიჯია კავკასიის მუშების მხრივ, ჭეშმარიტად კლასსიური ხასიათი მისცენ თავის პარტიას, ისე იმოქმედონ, როგორც საკუთარი გონება და გული უკრით, ჩვენის ფიქრით, ჭეშმარიტად ჯანმთელი მოვლენაა რომელიც მოასწავებს პროლეტარიატის განთავისუფლებას დოქტრინების და დოგმატების გავლენისაგან.

იურიდიული საზოგადოება

მოგეხსენებათ, რომ ტფილისში დიდი ხანია არსებობს ეგრედ წოდებული „კავკასიის იურიდიული საზოგადოება“. დაარსდა იგი ავერ თითქმის ორმოცი წელიწადია. კანონების შესწავლა და გავრცელება ხალხში, შესწავლა კავკასიის ერების კანონებისა, ადათებისა და ზნე-ჩვეულებისა — ეს იყო ამ საზოგადოების არსებობის აზრი. საგანი კარგია, მაგრამ საზოგადოებას ამ საგნის განსახორციელებლად არა გაუკეთებია რა. იყო თავისთვის ეს საზოგადოება, ხდებოდა კრებები, ირჩევდნენ სხვა და სხვა. პირებს. წელიწადში ერთხელ ან ორჯელ ვინმე რამე რეფერატს წააკითხავდა... ეს იყო და ესე მას არ ეტყობოდა სიცოცხლე და მოძრაობა. იგი ნამდვილი ბიუროკრატიული საზოგადოება იყო. სასამართლოს ბიუროკრატები ედგნენ სათავეში თავიანთის საგენერალო ლენტებით და კანცელარიის მტვრით და თავის ელფერს აძლევდნენ საზოგადოებას.

დრონი შეიცვალნენ. განთავისუფლებელ მოძრაობის ანკარა წყალი ამ საზოგადოებასაც მოჰხვდა. 20 ნოემბერს მოხდა კრება საზოგადოებისა. წარმოითქვა ბევრი ცხარე და მაღალფარდოვანი სიტყვა.

კრებაზე უმრავლესობას ნაფიცი ვექილები და მათი თანაშემწენი წარმოადგენდნენ. რასაკვირველია, ამათ ადვილად გაიყვანეს თავმჯდომარედ და იმის ამხანაგებად თავიანთი ამხანაგები.

თავდაპირველად კრება შეეხო საზოგადოების ერთ საპატიო წევრს, ადრინდელს კავკასიის მთავარ-მართებელს თავ. გოლიცინს.

თავადი გოლიცინიო! ამ სახელმა ყველას თვალ-წინ დაუყენა სურათი გუშინდელ სატრაპისა და იმის „მოღვაწეობის“ ხასიათი. როგორც გეხსომებათ, თავადი გოლიცინი ნამდვილი წარმომადგენელი იყო რუსეთის თვითმპყრობელობისა, მტერი თავისუფლებისა და მოთავენი ყაზახურ-ბაშიბუზუკურ რეჟიმისა. მან ჩამოაგდო შური და მძულვარება კავკასიის ერთა შორის. გოლიცინმა და იმისმა დამქაშებმა დევნა და ბრძოლა დაუწყეს განმათავისუფლებელ მოძრაობას, ერებს, სარწმუნოებას.

საზოგადოების ერთმა წევრმა წინადადება შეიტანა, რომ ამისთანა კაცი სამარცხვინოა და საზიზღარი ყოველ საზოგადოებაში, იმას ადგილი არ უნდა ჰქონდეს „იურიდიულ საზოგადოებაში“ და გამორიცხულ იქმნას საპატიო წევრთა რიცხვიდანაო. ამ წინადადებას ტაშის კვრით მიეგება საზოგადოება და თავ. გოლიცინის სახელი ამოშლილ იქმნა „იურიდიულ საზოგადოების“ წევრთა სიიდან.

საზოგადოების მეორე წევრმა განაცხადა: რადგან მთავრობა სარგებლობს ძველის კანონებით, კიდევ ახრჩობს და ჰკლავს და სხვა „დამნაშავეთ“, ამიტომ ვითხოვთ დაუყოვნებლივ გაუქმებულ იქმნას სიკვდილით დასჯა.

მესამემ: რადგან დღესაც სავსეა ციხე-საპყრობილეები იმ მამაც და სახელოვან მებრძოლებით, რომელთა უანგარო თავგანწირულებამაც მოგვანიჭა თავისუფლება და რადგან ყველაზე მეტად თავისუფლების ღირსნი ესენი არიან, ამიტომ ვითხოვთ დაუყოვნებლივ გამოცხადებულ იქმნას სრული ამნისტია და განთავისუფლებულ იქმნას პოლიტიკურ და სარწმუნოების საქმეების გამო დაპატიმრებულნი. კრებამ ორივე წინადადება მიიღო.

შემდეგ საზოგადოების თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა ბ-ნი მ. გრუზენბერგი; მის ამხანაგებად ბ-ნი ვერხოვსკი და მეველი; მდივნებად ბ-ნი დოლუხანოვი და ზურაბიშვილი; ხაზინადრად ბ-ნი ხავსკი და ბიბლიოთეკრად ბ-ნი პრიმი.

ბოლოს ასტყდა კამათი ბ-ნთ გვაზავას, ი. დოლუხანოვს, ი. ზურაბაშვილს, დ. ზაქრზევსკის და გრუზენბერგს შორის იმის შესახებ, თუ რა და როგორ უნდა მოვითხოვოთ, რომ 29 აგვისტოს და 22 ოქტომბერს მომხდარ სისხლის ღვრის დამნაშავენი და ორგანიზატორნი პასუხისგებაში იქნენ მიცემული და ღირსეულად დასჯილნი დაადგინეს: იურიდიული საზოგადოება, უცხადებს რა თავის ზიზღს და კიცხვას ყველა იმათ, ვინც მოახდინა ეს ველური და შესაზარი სისხლის ღვრა, მოითხოვს, ჭეშმარიტების აღსადგენად და ნამდვილ დამნაშავეთა პასუხის გებაში მისაცემად, გამოძიებაში მონაწილეობა მიიღონ აგრეთვე საზოგადოების წარმომადგენლებმა.

ეს რეზოლიუცია ერთხმად იქნა მიღებული. წინააღმდეგი დარჩა მხოლოდ პროკურატურის მდივანი ახალგაზრდ. დ. ი. უთნელიშვილი.

პატარა ფელეტონი

ხ უ ლ ი გ ა ნ ი

(რუსულიდან)

„გრაჟდადინზეც“ აღზრდილი ვარ,
მასწავლიდა კრუშევანი“,
ჯოხი დამაქვს და დავდივარ,—
მე გახლავარ ხულიგანი!

ძარცვა ჩემი ღმერთი არის,
და სიცრუე—გულის თქმანი,
მოთაყვანე—სისხლის ღვარის, —
მე გახლავართ ხულიგანი.

პატრიოტი მე ვარ დიდი,
თვით მთავრობამ მომცა ბანი,
მე მისი ვარ გზა და ხიდი,—
მე გახლავართ ხულიგანი.

გაუმძღარს და შიშველას
მინდა მტერი შინაგანი,
ნუ მოელით ჩემგან შველას,—
მე გახლავართ ხულიგანი. **მერანი.**

სომეხ-თათართა ახალი შეტაკება

კიდევ დაიწყო სისხლის ღვრა სომეხ-თათართა შორის, პრავოკატორთა და ქვემძრომთა წყალობით კიდევ ამხედრდა მეზობელი მეზობელზე. პირველად, 18 ნოემბერს სისხლი დაიღვარა განჯაში, შემდეგ შეტაკება სადგურებზედაც მოხდა. ჯერჯერობით არ არის გამორკვეული შეტაკების მიზეზი, მხოლოდ ამბობენ და ზოგიერთ გაზეთებში ეწერა კიდეც, რომ შეტაკებას წინ უძღოდა სამი მაჰმადიანის მოკვლაო. ასე თუ ისე 18 ნოემბერს დილით დაიწყო ნამდვილი სროლა სომხებსა და მაჰმადიანთა შორის. ორივე მხარე შეიარაღებული დადიოდა და არ ინდობდა ერთმანეთს. ჯერჯერობით არც მოკლულ-დაჭრილთა რაოდენობაა. მალე ქალაქს ცეცხლიც მოედო. 19 ნოემბრიდან დაწყებული დიდძალი დეპეშები მიდიოდა რკინის გზის სატელეგრაფო სადგურზე.

19 ნოემბერს განჯის სადგურის მოსამსახურეთაგან შემდეგი დეპეშა მოვიდა: „დღეს, 19 ნოემბერს, თითქოს ცოტა მიწყნარდა ჟლეტა-ხოცვა. საღამო ჟამია, არ ვიცი, რა მოხდება. თათრების ბრბო უფრო და უფრო დიდდება. წუთიწუთს ველით სადგურის განადგურებას. ცეცხლმა ჩანთქა ნახევარი ქალაქი. ფერფლად ქცეული სახლები აქა-იქ ბოლავს. პატარა სადგურებიდან არა ვიცით-რა. ძეგამიდან ცუდი ხმები მოდის. ალაბაშლოში შეტაკება მომხდარა. არიან დახოცილები. დაიწყო ძარცვა-გლეჯა. მოსამსახურეები თხოულობენ გადაყვანას. ჯარი ძიელ ცოტაა. ის ჯარი, რომელიც განჯის სადგურს იცავდა, ქალაქში გაიწვიეს. ჩვენ მოსამსახურებისაგან შევადგინეთ მილიცია, რომელიც ირგვლივ არტყია სადგურს და იცავს. დაჟინებით ვთხოულობთ, მოსამსახურენი შეგვაიარაღოთ, სადგურს ახლოს ბაზარია, სადაც სომხები ვაჭრობენ. ამათ მიინებს დუქნებს და სახლებს თავი და ჩვენ მოსამსახურეთ შემოგვეკედლნენ. ამის გამო თათრები უფრო კვეთქრებიან. როგორც ამბობენ, ქალაქში ასამდეა მოკლული. გზაზე ვოგზლამდის ოცზე მეტი გვამი ჰყრია უპატრონოდ, დაჭრილი და დამწვარი ბევრია. ნამდვილი ვერ გაგვიგია, ზარბაზანი რვაჯერ გაისროლეს, სომხებისა და თათრების შუა ჯარი სდგას“.

სხვა დეპეშებიდან სჩანს: მე-706 ვერსზედ მოჰკლეს ცოლი ლიანდაგის დარაჯისა და დასჭრეს პატარა ბავშვი. მე-425 ვერსზე გაძარცვეს დარაჯის სადგომი. ძეგამში ყაზახებმა გაფანტეს თათართა ბრბო, რომელსაც უნდა ცეცხლი წაეკიდებინა სომხის სახლისათვის. მოკლულია ერთი თათარი. სად. დოლიარში იქაურმა მცხოვრებლებმა გაძარცვეს ორი ვაგონი ხორბლისა და ერთი სამანუფაქტურო საქონლისა. სად. შამხორის ახლოს მე-450 ვერ. მოჰკლეს 9 სომეხი მუშა, რომელნიც კალონისტებთან მუშაობდნენ. განჯის ახლო-მახლო სოფლებში შეიარაღებული ბრბოები დადიან. სად. დოლიარში 20 ნოემბერს ბრბო დაეცა საქონლის საწყობს და გაიტაცა საქონელი. მოსამსახურეებს წაართვეს ფული. მოსამსახურეები გაიქცნენ სადგურიდან. ასეთივე ამბები იყო სად. შამხორსა და ალაბაშლოში.

20 ნოემბერს საღამოთი განჯაში ჩავიდა გენ. მალამა.

საზარელი ამბები მოხდა ევლახშიაც. იქაური მოსამსახურენი იუწყებიან: „20 ნოემბერს საღამოს რვა საათიდან დაწყებული, ღამის 1 საათამდის, საშინელ მდგომარეობაში ვიყავით. სამასი ცხენოსანი შეიარაღებული თათარი დაგვეცა თავს. ასტეხეს სროლა, გასტეხეს საქონლის საწყობი, გაიტანეს საქონელი, დატვირთეს ფურგუნებზე და წაიღეს. შემდეგ საწყობი შიგნიდან ცეცხლი წაუკიდეს. ფურგუნზევე დაუდეს აუარებელი საქონელი კანტორის „კავკაზ — მერკურისა“.

22 ოქტომბერს სომეხთა დიდი ბრბო სად. კოვლიარის მახლობლად დასცემია თათრების სოფელს და ამოუხოცნია დიდძალი თათრობა.

დასასრულ ვბეჭდავთ მალამას დეპეშას ნამესნიკის სახელობაზე: „21 დილით გაველ ქალაქში პოლიცმეისტერმა მიამბო რომ ქალაქში. სიმშვიდეაო; იფერფლება სომეხ-თათართასახლები ორივე მხარემ მოლაპარაკების შემდეგ გადასწყვიტა გასცვალონ დახოცილთა გვამები და შური აღარ იძიონ. მაგრამ აუარებელი შეიარაღებული თათრები და სომხებია სოფლებიდან ჩამოსული. დრაგუნები გავიდნენ ქალაქში განჯიდან დაწყებილი თაუზაბდის რკინის გზის მოსამსახურები შეშინებულნი არიან“.

წერილი რედაქციის მიმართ

ბ-ნო რედაქტორო!

გთხოვთ დაბეჭდოთ შემდეგი. მე მივიღე გადამწვარ გურულთა სასარგებლოდ. მეორე პლასტუნის ბატალიონის მღვდლის ილ. ლამხისაგან—3 მან; ნინო დავითის ასულ ქიქოძისაგან—5 მან., ფედოსი ანიაძისაგან—2 მან. ქუთაისიდან მივიღე ბ. მოსე ქიქოძის მიერ თავის ამხანაგ ვექილთა შორის შეკრებილი 70 მან. ვექილების გვარები: ქიქოძე, კვირკველია, თუმანიშვილი, მაჭავარიანი, ნიჟარაძე, გელაზაროვი, ჩაჩიბაია, ლომინაძე, ყუბანიევი, ბახტაძე, კიდევ ბახტაძე, საყვარელიძე, დარახველიძე, ბარათაშვილი. ამას გარდა ჩვენ ადგილობრივ ფულის მომკრებ კომისიას მოუვიდა მეორე პლასტუნის ბატალიონის აფიცრის პ. გალაევისაგან 5 მან.

მომყავს ყაზახთა ამ აფიცრის წერილი:

„სიამოვნებით წავიკითხე „ჩერ. ვესტ.“-ის დღევანდელ ნომერში ცნობა მეტად სიმპატიურ კომიტეტის დაარსების შესახებ. გაუმარჯოს კეთილ და კარგ საქმეს! ხოლო რა უნდა იყოს უკეთესი ძმურ სიყვარულისა, რის მაგალითსაც წარმოადგენს თქვენი სურვილი დახმარება გაუწიოთ მოძმეებს. ამასთან გიგზავნით ხუთ მანეთს დაზარალებულ გურულთა სასარგებლოდ. პ. გალაევი.

სულ შესდგა 85 მან. ეს ფული სრულად გადავეცი ჩვენს ხაზინადარს, რომელიც გადასცემს გურიაში ახლად დაარსებულ კომიტეტს. ამ კომიტეტს დავალებული აქვს ყველა ფულის მიღება და განაწილება გადამწვართა შორის.

ნინო ნაკაშიძე.

—

გთხოვთ, ადგილი დაუთმოთ თქვენს პატივცემულ გაზეთ „ცნობის ფურცელში“ შემდეგ წერილს:

18 ნოემბერს, როგორც უკვე გვქონდა გამოცხადებული, ვეტცელის თეატრში, დარბეულ გურულთა და ქართველთა სასარგებლოდ, ქ-ნ ნინო კვინიხიძისა და ბ-ნ მიხეილ ანანიაშვილის მეთაურობით წარმოადგინეს „პარიზის ღარიბდატაკნი“. სულ შემოვიდა 350 მან. 60 კაპ., ხარჯი იყო 110 მან. 60 კაპ., წმინდა, დარჩა 242 მან.

მადლობას ვუძღვნით ავლაბრის სახალხო თეატრის ამხანაგობას, რომელმაც სრულიად უსასყიდლოთ, კიდევ მეტი, დიდის სიხარულით მიიღო მონაწილეობა წარმოდგენაში; რკინის გზის მემუსიკეთ, რომელთაც, აგრეთვე უსასყიდლოთ, პატივი სცეს დამსწრე საზოგადოებას; ბ-ნს ექვთიმე ხელაძეს, რომელმაც აფიშები და წარმოდგენის პროგრამები შემოგვწირა, 13 მ. და 50 კ. ღირებული; ბ-ნს მიშა კავსაძეს და იმის გუნდს, რომელთაც უსასყიდლოთვე თავის სიმღერით ხელი შეუწყეს წარმოდგენის რიგიანად დაგვირგვინებას, და ყველა იმათ, ვინც, შეძლებისა დაგვარად, შემოიტანა თავისი წვლილი ამ საზოგადო საქმეში.

ვიქტორ დუნდუა

წ ე რ ი ლ ე ბ ი.

ს. ნატახტარი (ქართლი). 17 ნოემბერს, ასე 7 საათზე, სოფელ ნატახტარში (დუშეთის მაზრა) ცხრა შეიარაღებული კაცი თავს დაეცა იაკობ თვალიაშვილის სახლს. ხუთი შესულა მის სახლში, მაშინ როდესაც თვალიაშვილი ბოსლიდან სახლში შედიოდა ჰრაქით ხელში. კარებში ბრძოლა გაიმართა. ბოლოს ყაჩაღებს დაუძალიათ კარები, შეუღიათ და ხანჯლებით, თოფებით და რევოლვერებით ჩაუჩუმებიათ მთელი ოჯახი. ორ კაცს ამოღებულ ხანჯლებით დაუტარებია ცოლი თვალიაშვილისა. ამას უჩვენებია ყველაფერი, სადაც კი რამ ებადებოდათ. წაუღიათ ფულად, ნივთები და ქალების სამკაულებით ორმოც თუმანზე მეტი. როგორც დაშავებული ამბობს, ყველანი სველები იყვნენ, რაც იმის მაჩვენებელია, რომ არაგვ გაღმიდან გამოსულან. ხალხი შეკრეფილა ბოლოს, მაგრამ გამოდევნა ვერავის გაუბედნია, რადგან იარაღი არავის აღმოაჩნდა. ერთი ფისტონიანი თოფი გამოეტანა ვიღაც მებაღეს, ეჩხაკუნებიათ, ეჩხაკუნებიათ, მაგრამ ვერ გაესროლათ.

ეს პირველი მაგალითი არ არის დუშეთის მაზრაში. ამას წინად მცხეთის მედუქნეებიც გაუძარცვიათ. ბაქის ჭალაში ქალაქიდან მიმდინარე მეურმეებისთვის წაურთმევიათ ფული და ნავაჭრი. იმედია, ეს მაგალითები დაარწმუნებენ სოფლელებს იარაღის საჭიროებაში და შეუდგებიან სოფლად იარაღის შეძენას და შეიარაღებულ მცველთა ყოლას.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. გ. ჯაბადარი.**